# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 16 მაისი 1995 № 25 (163) | ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატის ლიდერები თამაშებით ერთმანეთს გაუსწორდნენ, ქულებით – ვერა: ფინიშამდე სამი ტურით ადრე «სამტრედია» ერთით უსწრებს «დინამოს»









18 მაისი
სამტრედია — ივერია

22 მაისი
მეტალურგი—სამტრედია

31 მაისი
სამტრედია — ზუგდიდი

18 მაისი
დინამო — საპოვნელა

22 მაისი
სამგურალი — დინამო

31 მაისი
დინამო — კახეთი

## ზეიმობს ის, ვინც ბოლოს ზეიმობს!

სეზონის ბოლომდე „დინამოს" კიდევ ერთი მატჩი აქვს გასამართი: დღეს 17 საათზე ეროვნულ სტადიონზე საქართველოს თასის საპასუხო ნახევარფინალში „ზუგდიდს" უმასპინძლებს. პირველი ფინალისტი კი გუშინ გაირკვა: „ბათუმმა" 2:1 სძლია „მეტალურგი" და საოცდაექვსმაისო მეტოქეს ელის.

## კარდიფამდე 22 დღეა, ბირმინგემამდე – 8

**7 ივნისს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უელსს ეთამაშება, კალათბურთელებს კი ზუსტად ორი კვირით ადრე, 24 მაისს იმავე რანგის ტურნირის საკვალიფიკაციო შეჯიბრი ელით. თუ პირველნი ახლა იწყებენ საბრიტანეთო საბუთების მოწესრიგებას, კალათბურთელებმა ეს საქმე გუშინ მოითავეს. მათი მზადების ყოველდღიურ ამბებს ქვემოთ გთავაზობთ, ფეხბურთზე კი აქ იმასღა ვიტყვით, რომ უელსი — საქართველოს თამაში ჩვენი დროით ღამის თორმეტის ნახევარზე დაიწყება.**

პარასკევი, 12 მაისი

ამ დღეს კანდიდატთა რაოდენობა ცამეტამდე გაიზარდა. შეკრებაზე ორი ცენტრი მოვიდა — კატუსელი დავით ბერძენიშვილი და მასზე 17 წლით უფროსი ნიკოლოზ დერიუგინი. მწვრთნელებმაც მომზადების ახალი ეტაპი დაიწყეს.

დილით ტაქტიკაზეც წაიმუშავეს: შეტევის ის კომბინაციები, რომლებსაც გუნდი მთელი წლის მანძილზე იყენებდა, ნაწილობრივ შეცვალეს. მცირე დრო თეორიასაც დაუთმეს, დაამუშავეს სროლები სხვადასხვა პოზიციებიდან. აქვე 15 წუთი ფიზმომზადებას დაეთმო. მწვრთნელთა აზრით, გაუმართლებელი იქნებოდა წინა დღეების მძიმე დატვირთვების შემდეგ პირდაპირ კალათბურთზე გადასვლა.

საღამოს ლიპარტელიანმა ყველას შეახსენა დილით დამუშავებული კომბინაციები და ორმხრივი თამაში მოაწყო. მწვრთნელს აინტერესებდა, ვინ როგორ შეასრულებდა კონკრეტულ დავალებას და როგორ იაზროვნებდა სხვადასხვა სათამაშო სიტუაციაში. ორი ცენტრის ყოლამ უკვე გააჩინა რამდენიმე ვარიანტის განხილვის საშუალება. კომბინაციათა უმრავლესობა, ცხადია, დერიუგინზე გადის. აქ სჯობს სიტყვა ლიპარტელიანს მივცეთ: „კოლია ფიზიკურად კარგად არის მზად, წონაც ნორმალური აქვს, შარშანდელთან შედარებით ოდნავ გამხდარა კიდეც. ვარჯიშისას რამდენჯერმე დავეკითხე — დერიუგინი იმ დონის მოთამაშეა, ვისგანაც რჩევის მიღება შეიძლება. ზოგიერთ სიტუაციაში მან შესწორებები შემოგვთავაზა და მეც დავეთანხმე, რადგან უკეთესი რამ მივიღეთ. დღეს კოლამ შეტევისას თანაგუნდელების გახსნაზე იმუშავა. ევროპაში ეს მიღებული ამბავია — ცენტრი ზემოთ იწევა და ზოგჯერ გამთამაშებლის ფუნქციას კისრულობს. ადრე ამას ვერ ვაკეთებდი, რადგან შემსრულებელი არ მყავდა. ახლა ხელ-ფეხი გამეხსნა, რადგან დერიუგინს სხვისი ათამაშების ნიჭიც აქვს. დღეისთვის ეს კომბინაცია ვიკმარეთ".

შაბათი, 13 მაისი

დილის ვარჯიშზე გუშინდელ კომბინაციებში შესწორებები შეიტანეს. ახალიც დაუმატეს — თუკი გუშინ დერიუგინი სხვებს ათამაშებდა, ამ დღეს მისი ფარქვეშ გამოყენების ვარიანტები მოსინჯეს.

საღამოს კი ამ ორი დღის ნაშრომის ორმხრივ თამაშში გამოცდა გადაწყვიტეს. ფაქტიურად, დაისახა ის ზოგადი ტაქტიკური მონახაზი, რომლითაც გუნდი ინგლისში ითამაშებს. კვირის ბოლო იყო და, ცხადია, დაღლილობა თავისას იზამდა. მით უმეტეს, რომ მოთამაშეები ორჯერად ვარჯიშებს გადაჩვეულნი არიან. გამართლდა ლიპარტელიანის ვარაუდი — დასაწყისიდან ერთი საათის შემდეგ ვარჯიშის ხარისხი გაუარესდა. ამიტომაც ბესიკმა შეწყვიტა თამაში და მოთამაშეებს ბუთრის კალათში სროლა დაავალა. ვარჯიშმა კი, დაგეგმილი 2 საათის ნაცვლად, საათნახევარს გასტანა.

მიუხედავად ამისა, მთავარი მწვრთნელი მაინც კმაყოფილი იყო: ამ მომენტისთვის ბიჭებზე საყვედურს ვერ ვიტყვი. მეგონა, უფრო მეტი ხარვეზები იქნებოდა. სანამ მოთამაშეები დაიღლებოდნენ, რაც აქამდე გვიკეთებია, ყველაფერს ნორმალურად იყენებდნენ. მათ ფიზიკურ მდგომარეობასაც არ ვუჩივი — უარესს ველოდი".

კვირა, 14 მაისი

მწვრთნელებმა დასვენება გამოაცხადეს და მოთამაშეებს უქმე დღის თავ-თავიანთ გემოზე გამოყენების უფლება მისცეს.

ორშაბათი, 15 მაისი

დღე კარგი ამბით დაიწყო. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი მოსკოვს დაუკავშირდა, სადაც უთხრეს, ბრიტანეთის საელჩომ ინგლისში გასამგზავრებელ დელეგაციას ვიზები უკვე გაუფორმა და პასპორტები საქართველოს საკონსულოს გადასცა. აი, ბრიტანეთში საარსებო თანხები კი ჯერ არ ჩანს.

ერთი დღით დასვენებულმა მოთამაშეებმა დაცვით სისტემაზე მუშაობა დაიწყეს. ლიპარტელიანმა თეორიულად დაამუშავა ზონური პრესინგი და ცვალებად ხუთეულებს ამის ერთმხრივ შესრულება მოთხოვა. ამის შემდეგ დაცვის ზონური სისტემის — 1-2-2-ის გარღვევაზე ივარჯიშეს, ძირითად მაინც თეორიულად. მოეწყო ხანმოკლე ორმხრივი თამაში ამ ვარჯიშზე შესასწავლი და წინა დღეებში დამუშავებული სქემების გამოყენებით. ვარჯიში ზუსტად ორ საათს გაგრძელდა, თუმცა ბოლო 20 წუთი სროლებს დაეთმო.

საღამოს კი დილის თეორიების პრაქტიკულად გამოყენების ჯერი დადგა. გაიმართა თამაში ორი 35-წუთიანი ტაიმით. შედეგების კომენტირებისგან ლიპარტელიანმა ამჯერად თავი შეიკავა.

დილით ტელეფონით მოსკოვში კახა შენგელიას ელაპარაკნენ. მას კლუბთან ფინანსური საკითხები ჰქონია მოსაგვარებელი, რომლებიც გუშინვე უნდა დაესრულებინა და დღეს-ხვალ ალბათ ნაკრებს შემოუერთდება. რაც შეეხება სტეფანიას: იგი გუშინ ლიუბლიანადან მოსკოვში ჩაფრინდებოდა, ხოლო იქიდან თბილისში ჩამოსვლა უკვე დროის ამბავია.

მერაბ რატიშვილი

## 1992-93: ცხვედიანი 1993-94: დერიუგინი 1994-95: ??????????





**საქართველოს საუკეთესო კალათბურთელად შარშანწინ ჟურნალისტებმა შალვა ცხვედიანი დაასახელეს, შარშან — ნიკოლოზ დერიუგინი. ვინ გაიმარჯვებს „სარბიელის" ტრადიციულ გამოკითხვაში, ვინ გახდება ქვეყნის 1994-95 წლების საუკეთესო მოთამაშე?**

## 18 მაისს 18 საათზე

ამას ხუთშაბათს, 18 მაისს, 18 საათზე შეიკრიბებით სპორტის სასახლეში. ზეგ იქ გაიმართება საქველმოქმედო საკალათბურთო საღამო, რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე მიმავალ საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებს. მოეწყობა შეხვედრა საქართველოს ეროვნულ და მეორე ნაკრებებს შორის. მატჩის წინ შედგება საქართველოს საუკეთესო კალათბურთელის, აგრეთვე სეზონის სხვა ლაურეატთა დაჯილდოება.

გაიმართება კონკურსი სამქულიან სროლებსა და ბურთის ჩატენვაში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ვახტანგ ნაცვლიშვილი, რეზო ჩხეიძე, ლევან ქარაბაკი, ირაკლი ბაქრაძე, მალხაზ ანდღულაძე, აგრეთვე ლეგიონერები: სლოვაკეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ნიკოლოზ დერიუგინი, რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი კახა შენგელია და სლოვენიის ჩემპიონი ვლადიმერ სტეფანია.

გამოკითხვის შედეგებს და ინტერვიუს საქართველოს 1994-95 წლების საუკეთესო კალათბურთელთან მომდევნო „სარბიელში" შემოგთავაზებთ. დღეს კი, მე-7 გვერდზე იხილეთ საუბარი სლოვაკეთიდან ნაკრების შეკრებაზე ჩამოსულ ნიკოლოზ დერიუგინთან.

## ხუთ კაცზე – ორი მოგება

ბერლინში, მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ მოკრივეთა ხუთეულმა ორად-ორი ბრძოლის მოგება შეძლო და უმეღლოდ დარჩა.

აწ უკვე მსოფლიოს ექს-ვიცე-ჩემპიონმა, გიორგი კანდელაკმა (91 კგ) ჯერ ლიტველი იონას დამბრაუსკასი გალახა — 4:2, მეოთხედფინალში კი არ ეჩხუბა კუბელ ფელიქს სავონს, ვინაც მერე ჩემპიონის მორიგი ტიტული მოიპოვა.

ბესიკ ვარძელაშვილმა (63,5 კგ) შვედი მიქაელ იკვალო დაამარცხა — 10:5, მაგრამ მეორე წრეში 0:5 წააგო მომავალ ვერცხლის პრიზიორ თურქ ნურჰან სულეიმანოღლუსთან.

დანარჩენები პირველივე წრეში დამარცხდნენ: კობა გოგოლაძე (57 კგ) — ბერძენ ტიგრან უზლიანთან (9:11); მამუკა ხუტუაშვილი (67 კგ) — ლიტველ ვიტალიუს კარპასიუსკასთან (1:8); ილია ტლაშაძე (71 კგ) — იუგოსლავ სლავიშა პოპოვიჩთან (აშკარა უპირატესობით).

## პირველი ჯგუფი

26-ე ტური, 7 მაისი

### ბათუმი 6:0 გურია

ბათუმი: ბალაძე (მალაყმაძე 46), გოგიტიძე, ფუტკარაძე, სიჭინავა, ღლონტი, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე (ყულეჯიშვილი 46), ხომერიკი, უჯმაჯურიძე, ტუღუში

გურია: წულაძე, კოროტკოვი, შ.კუკულაძე, ქიქავა, მ. კუკულაძე, ლორია, ნილოსანი, განიევი, პატარაია, სიხარულიძე, ებრალიძე

1:0 ხომერიკი (8), 2:0 ტუღუში (21), 3:0 უჯმაჯურიძე (32), 4:0 ყულეჯიშვილი (50), 5:0 ყულეჯიშვილი (65), 6:0 ყულეჯიშვილი (73)

### კოლხეთი 8:1 იბერია

კოლხეთი 1913: ბოჭორიშვილი, ქობულაძე, თიბილაშვილი, დანელია, ქუნთელია, ინიაშვილი, ტორჩინავა, მახარაძე, გიგატაძე, დარასელია, ბულუხია

იბერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, გოგოლაძე, ვეშაპიძე, ლაცაბიძე, ლომიძე, იობაშვილი, ჩიბაშვილი, მარლიშვილი, ჩადუნელი, ნიკლაური

1:0 დარასელია (11), 2:0 ტორჩინავა (14), 3:0 დარასელია (30), 4:0 დარასელია (34), 4:1 ტოგონიძე (52 პ), 5:1 ინიაშვილი (69), 6:1 დარასელია (72), 7:1 მახარაძე (76), 8:1 დარასელია (80)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

27-ე ტური, 7 მაისი

### მეტალურგი 6:1 კოლხეთი

მეტალურგი: კოროშინაძე (დოლიძე 46), ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ყაველაშვილი, გ. კილასონია, გაფრინდაშვილი, მეტრეველი, გაბოკიძე (ზირაქიშვილი 46),

კოლხეთი 1913: ბოჭორიშვილი (გვასალია 75), ქობულაძე, თიბილაშვილი, დანელია, ინიაშვილი, ღლანიძე, ტორჩინავა, მახარაძე (ქუნთელია 25), გიგატაძე, დარასელია, ბულუხია

1:0 მეტრეველი (4), 1:1 ბულუხია (8), 2:1 მეტრეველი (49), 3:1 გ. კილასონია (63 პ), 4:1 ვ. კილასონია (68), 5:1 ზირაქიშვილი (70), 6:1 გ. კილასონია (82). პენალტი ვერ გამოიყენა დარასელიამ (88)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

### იბერია 3:2 ტორპედო

იბერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლომიძე, ჩადუნელი, ლაცაბიძე, ტყემალაძე, იობაშვილი, ჩიბაშვილი (გლუნჩაძე 80), ვეშაპიძე, ქობელაშვილი, ნიკლაური

ტორპედო: ხელაძე (ნიშნიანიძე 46), შეყრილაძე, თურმანიძე, ბზიკაძე (ხერხაძე 65), კოსკანოვი, წიქარიშვილი, სუხიაშვილი, ხუნდაძე, ნოზაძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (გ. მეგრელაძე 75)

1:0 ქობელაშვილი (32), 2:0 ქობელაშვილი (39), 2:1 ხუნდაძე (45), 3:1 ქობელაშვილი (74), 3:2 ხუნდაძე (77)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

### საპოვნელა 2:1 კახეთი

საპოვნელა: თევზაძე, კუხიანიძე, ლილუაშვილი, ჯულელი, ხვარეშია, უკლება, ბუნტური, გურაბანიძე, გოდერძიშვილი (ხელაძე 46), ახვლედიანი, ხურცილავა

კახეთი: ჩლაიძე, გოგიაშვილი, ათუაშვილი, ცქიფურიშვილი, სოლოლაშვილი, ჭერიტაძე, დოლიძე, ტარულაშვილი, შონია, ბაბულაიძე, კახოიძე (მანჭარაული)

0:1 დოლიძე (17), 1:1 ჯულელი (50), 2:1 ბუნტური (82)

გაფრთხილება: ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე

მსაჯი: მ. მალალურიძე (თბილისი)

### გურია 3:2 შევარდენი

გურია: წულაძე, კოროტკოვი, იმნაძე, ქიქავა, ბუცურეიშვილი, ლორია, ბურდული (ებრალიძე 46), განიევი, ნილოსანი, სიხარულიძე, პატარაია

შევარდენი 1906: მესტუმრე, მაისურაძე, მჭედლიშვილი, გუჩუა, შილაკაძე, ჯელაძე, კალმახელიძე, ლ. ბერიშვილი, დათუაძე (გოგიბერიშვილი 46), თოლორდავა, შუბითიძე

1:0 ბუცურეიშვილი (15), 1:1 მჭედლიშვილი (20 პ), 2:1 ბუცურეიშვილი (25), 3:1 სიხარულიძე (63), 3:2 ლ. ბერიშვილი (67)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

### სამგურალი 2:0 დურუჯი

სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე, თოდაძე, ივანეიშვილი, ვ. ფესტვენიძე, გ.ჩიხლაძე, მუშკუდიანი, იობიძე (გ.ჯაბელიძე 46), ჯანაშია (ე. ჩიხლაძე 75), აშვეთია, ჩხეტიანი

დურუჯი: პაქსაშვილი, ვ. ხუბეჯიშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი, ბოჭორიშვილი, ყანჩაშვილი, ლობჟანიძე (ჭაჭუა), ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ღვინიაშვილი

1:0 იობიძე (48), 2:0 ჯანაშია (50)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### დილა 0:1 სამტრედია

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (ხ. გაგნიძე 6), ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ზვ. ხორგუაშვილი 71), მინდიაშვილი, ზურ. ხორგუაშვილი, ლომიძე

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი (ფანჩულიძე 82), ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ჯიკაევი, გოგიტაძე, ჩხაიძე

0:1 ჯიშკარიანი (64)

გაფრთხილება: ხ.გაგნიძე, გოგიტაძე, თარხნიშვილი

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### მარგვეთი 3:1 ბათუმი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ტონია (აფციაური 38), გურიელიძე, ლანჩავა, ლონლაძე, ფოცხვერაშვილი, გაბრიჭიძე, კაკუბავა, ჩხეტია (სულაკაძე 65), კიკნაძე, ენდელაძე,

ბათუმი: მალაყმაძე, გოგიტიძე, ი.მახარაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, ღლონტი, მუჯირი, ამბიძე, კანტიძე, ყულეჯიშვილი (ხომერიკი 52)

1:0 ენდელაძე (15), 2:0 კაკუბავა (35), 2:1 კანტიძე (67), 3:1 ენდელაძე (80 პ)

მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

### ზუგდიდი 2:2 დინამო

გამოტოვებული მატჩი. 13 მაისი

### კოლხეთი 2:3 დინამო

მატჩის შემდეგ ტელეფონით დავუკავშირდით ფოთელთა მწვრთნელ სოსო ფილიას. მან გვითხრა, რომ „დინამოს", უპირველეს ყოვლისა, ჯამარაულის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გაუმარჯვია. გოჩას სამი გოლი გაუტანია, რაზეც გიორგი დარასელიას ორით უპასუხია და „დინამომაც" სამი ქულა წამოიღო ფოთიდან.

ორი დღის შემდეგ, გუშინ, თბილისელებს საქართველოს თასის საპასუხო მატჩი უნდა ეთამაშათ „ზუგდიდთან": მაგრამ ფედერაციამ გაითვალისწინა დინამოელთა ერთობ დაძაბული კალენდარი სეზონის ბოლოს და თამაში ერთი დღით გადაუვადა. მატჩი დღეს ეროვნულ სტადიონზე 17 საათზე დაიწყება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 27 | 23 | 1 | 3 | 69-21 | 70 |
| დინამო | 27 | 22 | 3 | 2 | 103-30 | 69 |
| კოლხეთი | 27 | 18 | 3 | 6 | 64-27 | 57 |
| ბათუმი | 27 | 13 | 6 | 8 | 62-38 | 45 |
| მეტალურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 47-32 | 43 |
| ტორპედო | 27 | 13 | 2 | 12 | 53-42 | 41 |
| ზუგდიდი | 27 | 12 | 4 | 11 | 50-44 | 40 |
| დილა | 27 | 10 | 5 | 12 | 24-33 | 35 |
| იბერია | 27 | 9 | 4 | 14 | 39-49 | 31 |
| მარგვეთი | 27 | 8 | 5 | 14 | 23-50 | 29 |
| გურია | 27 | 8 | 5 | 14 | 35-71 | 29 |
| შევარდენი | 27 | 7 | 6 | 14 | 30-45 | 27 |
| კახეთი | 27 | 6 | 9 | 12 | 32-50 | 27 |
| საპოვნელა | 27 | 6 | 6 | 15 | 31-64 | 24 |
| დურუჯი | 27 | 7 | 2 | 18 | 23-60 | 23 |
| სამგურალი | 27 | 5 | 6 | 16 | 28-57 | 21 |

ბომბარდირები

მამუკა ხუნდაძე (ტორპედო) — 22
გიორგი დარასელია (კოლხეთი) — 19
გელა გაბისონია (ზუგდიდი) — 18
პაატა მაჭუტაძე (ბათუმი) — 17
ალექსანდრე იაშვილი (დინამო) — 17
გია ჯიშკარიანი (სამტრედია) — 17
ზაზა ჯანაშია (სამტრედია) — 15
ვარლამ კილასონია (მეტალურგი) — 15

# გუნდია თუ სათვისტომო?

როგორც შევიტყვეთ, „მეტალურგის" ყოფილ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს შეპეტოვკაში თან წაუყვანია ახალგაზრდა რუსთაველი ფეხბურთელები დავით ჩალაძე, კახა ალადაშვილი, თამაზ პერტია და ბელორუსიიდან მობრუნებული ალექსანდრე რეხვიაშვილი. ისიც შევიტყვეთ, რომ შეპეტოვკას ლანჩხუთელი პაატა გამცემლიძეც აპირებს წასვლას. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ „ტემპში" ერთბაშად 12 ქართველი ფეხბურთელი აღმოჩნდება. უშველა კი ამან გუშინ კიევში, უკრაინის ჩემპიონატზე მატჩში „დინამოსთან" შეპეტოვკელებს, ჯერ ვერ გეტყვით.

# ინტრიგა

## 28-ე ტური. 18 მაისი

წყვილის შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია პირველი წრის შედეგი, შემდეგ სტრიქონში — საერთო ბალანსი ჩემპიონატებში: მოგება (შინ), ფრე, წაგება, ბურთები.

### სამტრედია — იბერია (3:0)

+4(3) =2(1) -2(0) 12-6 (7-1)

ბოლო ტურში გამარჯვებამ ხაშურელებს ოფიციალურად გაუფორმა პირველ ჯგუფში დარჩენა: ჩემპიონატის მიწურულს აუტსაიდერებმა ერთმანეთშილა უნდა არკვიონ ურთიერთობა და თეორიული შანსიც არ რჩებათ, გაუსწრონ „იბერიას". სამტრედიელებს კი ალბათ სამი ნაბიჯილა თუ აშორებთ ჩემპიონობას, ასე რომ, ამ შეხვედრის შედეგის გამოცნობას დიდი გულთმისნობა არ სჭირდება. ამათი პირველი ოთხი შეხვედრის შემდეგ მცირე უპირატესობა ხაშურელთა მხარეს იყო, მაგრამ მომდევნო ოთხიდან სამტრედიელებმა სამი მოიგეს (მათ შორის ორი დიდი ანგარიშით), ერთიც ფრედ დასრულდა და ამჟამად უპირატესობაც ამათია. საერთმანეთო ბომბარდირები მაღალი შედეგიანობით ვერ დაიკვეხნიან — 2-2 გოლი გაიტანეს ფანჩულიძემ, ამაშუკელმა, იონანიძემ, დავით ჯანაშიამ (ყველა „სამტრედია") და ქობელაშვილმა („იბერია"), ესენი ახლაც ამ გუნდებში თამაშობენ და შანსიც აქვთ, გაიუმჯობესონ მაჩვენებელი. მასპინძელთა ამჟამინდელ საუკეთესო ბომბარდირს გია ჯიშკარიანს (17 გოლი) სამტრედიელთა სახელით ჯერ არ აუღია იბერიელთა კარი და ალბათ ამჯერად ეცდება..

### დინამო — საპოვნელა (5:2)

+2(0) =0 -1(1) 7-4 (1-2)

ზუგდიდში ორი ქულის დაკარგვამ ერთობ შეამცირა „დინამოს" ჩემპიონობის შანსი, მაგრამ, უეჭველია, თბილისელები ბოლო ტურამდე თავისას ეცდებიან, რისი დასტურიც გახლავთ ფოთში გამარჯვება. „საპოვნელასთან" „დინამო", ცხადია, მხოლოდ მოგებისთვის იბრძოლებს, თუმცა თერჯოლელებსაც ისე აქვთ საქმე, ხელი უნდა გამოიღონ და ყველაფერი იღონონ წარმატების მისაღწევად, სხვა შემთხვევაში ჯგუფში დარჩენა გაუჭირდებათ. არადა, „საპოვნელასთვის" თბილისში გამარჯვება უცხო რამ არ გახლავთ — „დინამოს" ერთადერთხელ სწორედ თბილისში, წინა სეზონში მოუგეს 2:1. ამათში ბომბარდირობენ მხოლოდ თბილისელები — იაშვილმა 3 გოლი გაიტანა, ყაველაშვილმა 2, თერჯოლელთაგან კი ერთზე მეტი ვერავის გაუტანია.

### ტორპედო — მეტალურგი (2:3)

+2(2) =0 -6(1) 11-12 (6-1)

ამათ შეხვედრებს მუდამ უშელავათობა სჩვეოდა, ამას კი ახლა სატურნირო ცხრილში მეზობლობაც დაერთო. თუ ქუთაისელები გაიმარჯვებენ, „მეტალურგის" ამჟამინდელ მეხუთე ადგილს თავად დაიკავებენ და ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ერთი ქულით გაუსწრებენ მეტოქეს, რუსთაველები კი, წარმატების შემთხვევაში, ფაქტიურად, ხუთეულში ინარჩუნებენ ადგილს და, შეიძლება ისეც მოხდეს, მეოთხესაც გამოკრან ხელი. ამათ პირველ მატჩში ქუთაისელებმა იმარჯვეს, მომდევნო ოთხი კი რუსთაველებმა მოიგეს, რისი წყალობითაც აქამდე ინარჩუნებენ უპირატესობას. ტორპედოელებმა ორჯერვე დიდი ანგარიშით, ორჯერვე 3:0 აჯობეს მეტოქეს, რუსთაველებმა კი მხოლოდ ერთხელ მოახერხეს ორბურთიანი სხვაობით ჯობნა, დანარჩენ ხუთში კი მათი უპირატესობა მინიმალური იყო. პირველ წრეში, სტუმრად, „ტორპედო" ახლოს იყო გამარჯვებასთან — პირველი ტაიმის მიწურულს 2 უპასუხო ბურთით იგებდა, მაგრამ შემდგომ ველარ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე უკვე ერთი ბურთით აგებდა და საბოლოოდ ასეც დამარცხდა, მითუმეტეს, რომ ქუთაისელებს ერთი მოთამაშეც გაუძევეს. ამათ შეხვედრებში „ტორპედო" უფრო არაკორექტულია — 1 გაძევება, 6 გაფრთხილება, რუსთაველთაგან კი მხოლოდ ერთ მოთამაშეს აჩვენეს ყვითელი ბარათი. ურთიერთშეხვედრებში 3-3 გოლით ბომბარდირობენ მეტოქეთა შეტევების ამჟამინდელი ლიდერები — ქუთაისელი ხუნდაძე, რომელსაც ძნელად თუ ვინმე წაართმევს მეექვსე ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის წოდებას, და რუსთაველი გიორგი კილასონია.

### კოლხეთი — ზუგდიდი (3:2)

+5(3) =4(2) -1(0) 16-11 (8-4)

26-ე ტურის შემდეგ ფოთელებმა პრაქტიკულად გაინაღდეს მესამე ადგილი, თბილისის დინამოელებთან დამარცხებამ კი მეორე ადგილზე გასვლის ილუზია გაუქრო, ასე რომ დარჩენილი მატჩები მათთვის მხოლოდღა საპრესტიჟოა. ამას ვერ ვიტყვით სტუმრებზე, რომლებიც ხუთეულში მოსახვედრად ირჯებიან. მეორე წრეში ზუგდიდელებმა არც ლიდერები დაინდეს, არც აუტსაიდერები — ბევრ მეტოქეს წაართვეს „დაგეგმილი" ქულები და ჩემპიონატის სიუჟეტი საკმაოდ გაამძაფრეს. ოდიშელთათვის ფოთელები მეტად უხერხული მეტოქეები არიან — პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ მხოლოდ მეშვიდე შეხვედრაში გაიმარჯვეს, რითაც ერთი ხანობა მინიმუმამდე შეამცირეს კოლხთა უპირატესობა, თუმცა შემდგომ ზღვისპირელებმა ზედიზედ სამჯერ მოიგეს. ფოთელთა ასეთი უპირატესობის მიუხედავად, მათ მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს ორბურთიანი სხვაობით, დანარჩენ მატჩებში კი მხოლოდ მინიმალური უპირატესობა იკმარეს. ზუგდიდელებმა მეტოქის კარში დანიშნული ხუთივე პენალტი გაიტანეს, ფოთელებს კი ერთხელ მიეცათ ამის შანსი და გამოიყენეს კიდეც. საერთმანეთო ბომბარდირებში წინ სწორედ ისინი არიან, ვისზეც ახლა გუნდის ლიდერები ითქმის — გიორგი დარასელია 6 გოლი (სამჯერ წყვილწყვილად), მახარაძე (ორივე „კოლხეთი 1913"), გაბისონია და ბადრი დარასელია (ორვე „ზუგდიდი") — 3-3.

### ბათუმი — დილა (0:0)

+4(4) =3(0) -3(0) 14-10 (12-2)

ამ მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ბათუმელთათვის თუ აქვს — მოიგებენ და, თითქმის გაინაღდებენ მეოთხე ადგილს, მითუმეტეს, რომ ბოლო ტურში მთავარ მოცილეს რუსთავის „მეტალურგს" მასპინძლობენ. გორელები კი, ალბათ, მერვე ადგილზე დარჩებიან, რადგან იმგვარი სატურნირო მდგომარეობა აქვთ, არც გაუმჯობესების შანსი აქვთ, არც გაუარესების და, ეტყობა, ეროვნულ ჩემპიონატებში თავიანთ საუკეთესო შედეგს გაიმეორებენ. ბათუმელები შინ ყოველთვის დამაჯერებლად იმარჯვებდნენ, ორჯერ დიდი ანგარიშითაც მოიგეს. ბომბარდირობით მხოლოდ ბათუმელები თუ გამოირჩევიან: 3-3 ბურთი გაიტანეს ტუღუშმა და ხომერიკმა. ამათი მატჩები ვერ იყო კორექტული — 1 გაძევება, 12 გაფრთხილება

### შევარდენი — მარგვეთი (0:0)

+4(4) =4(1) -2(0) 16-8 (14-4)

ეს გუნდებიც ჯერჯერობით აუტსაიდერთა შორის არიან, თუმცა მათი მდგომარეობა გაცილებით ხელსაყრელია, ვიდრე ამჟამად ბოლო სამ ადგილზე მყოფთა. თუმცა, ამ შეხვედრაში გამარჯვება არცერთს არ აწყენს, განსაკუთრებით კი მასპინძლებს. „შევარდენს" აშკარა უპირატესობა აქვს შინ. მეხუთე ჩემპიონატის მეორე ეტაპის გახსნის მატჩზე, ზესტაფონში, სტუმრებმა შეხვედრის ბოლო წუთზე [illegible] ვითეს მარგველ მეგრელაძის გოლი. მსაჯებმა ჯერ ჩათვალეს ეს ბურთი, შემდეგ კი მატჩის ოქმში რატომღაც 1:0 შეიტანეს მასპინძელთა სასარგებლოდ. თბილისელებმა გააპროტესტეს და ხელმეორე შეხვედრაშიც ბოლო წუთამდე 0:1-ს აგებდნენ, მაგრამ შევარდენელმა ჯიშკარიანმა შეძლო წონასწორობის აღდგენა. მეორე წრის შეხვედრაში ზესტაფონელები თბილისში არ გამოცხადდნენ და წაგებაც მიესაჯათ. ამათ ბომბარდირებში 3-3 გოლით წინ არიან ყოფილი შევარდენელები ქობელაშვილი და ჯიშკარიანი, ხოლო ზესტაფონელთაგან თითო ბურთზე მეტის გატანა ვერავინ შეძლო.

### კახეთი — სამგურალი (5:1)

+1(0) =1(1) -3(1) 9-10 (2-3)

წაგების შემთხვევაში „სამგურალს" ალბათ ჯგუფში დარჩენის თეორიული შანსიც აღარ დარჩება. არადა, არც „კახეთს" ულხინს მაინცდამაინც და, თუ დამარცხდება, მასაც მძიმე სატურნირო ვითარება შეექმნება. „სამგურალი" კახელებისთვის უხერხული მეტოქეა, მათ ერთადერთხელ პირველ წრეში გაიმარჯვეს წყალტუბოში და თანაც დიდი ანგარიშით — 5:1. თელავში კი „კახეთს" ჯერ არ გაუმარჯვნია და ალბათ ამჯერად შეეცდება არასასურველი ტრადიციის დარღვევას. საერთმანეთო ბომბარდირები: ხურცილავა („სამგურალი") — 4 გოლი, კაციტაძე („კახეთი") — 2

### დურუჯი — გურია (2:3)

+0 =0 -1(0) 2-3

მასპინძლებს ამ მატჩში მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. თუ მოიგებენ, კიდევ რჩებათ ჯგუფში დარჩენის შანსი. სტუმრებმა ბოლო მატჩის მოგებით შედარებით გაიუმჯობესეს მდგომარეობა და ალბათ არ მოუწევთ მეორე ჯგუფში ჩამოქვეითება. პირველი წრის შეხვედრაში ჯერ ლანჩხუთელები იყვნენ წინ, მაგრამ მალე „დურუჯმა" არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ დაწინაურდა კიდეც და მასპინძლებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ გასამარჯვებლად, რასაც მხოლოდ შეხვედრის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მიაღწიეს.

რევაზ შენგელია

# ასეთი არაფერი გვინახავს

## [illegible] ჩემპიონატში

### სიონი 2:2 მერანი-91

სიონი: ვოლკოვი, ყაჩლავაშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მეფარიშვილი, ქოიავა, გაბრიჭიძე (მეტრეველი), ტოროშელიძე, ბეს. უგულავა (სამხარაძე), ჯაგიდისი, მოსეშვილი

მერანი 91: ნაჭყებია, გოდერძიშვილი, ჯიშკარიანი, ჩომახიძე, სულთანოვი, კენჭიაშვილი, მეტრეველი, სუხიტაშვილი (ძაგანია) ივანიშვილი, ჭანტურია, დავითაშვილი

1:0 ჯაგიდისი (15 პ), დავითაშვილი (30), ქოიავა (65), ჭანტურია (85), პენალტი ვერ გამოიყენა სუხიტაშვილმა (75)

გაფრთხილება: სამხარაძე

ქვეჯგუფის ლიდერთა ამ მატჩზე დიდად იყო დამოკიდებული,ვინ დაეუფლება პირველი ჯგუფის ერთადერთ საგზურს. წაგებული გუნდი, ფაქტიურად, კარგავდა შანსს, ამან კი, ბუნებრივია, სათანადოდ იმოქმედა მოასპარეზეებზე: თავიდან ორივე მხარე რისკს ერიდებოდა და პირველი სახიფათო მომენტი „მერანის" კართან მხოლოდ 12-ე წუთზე შეიქმნა. სამიოდე წუთში თბილისელთა მცველმა სულთანოვმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში ხელით და თავით ერთდროულად ითამაშა და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ბოლნისელთა ვეტერანმა ჯონი ჯაგიდისმა. ამის შემდეგ თამაშიც გამოცოცხლდა და ორმხრივმა იერიშებმაც იმატა. თბილისელები უფრო აქტიურნი იყვნენ და აკი შედეგმაც არ დააყოვნა: 30-ე წუთზე დავითაშვილი მასპინძელთა დაცვას დაერია, ყველაც მოატყუა და ზედ პირითი ხაზიდან ულამაზესი და უიშვიათესი გოლი გაიტანა. მატჩის შემდეგ ბევრმა მრავლისმნახველმა სპეციალისტმა ერთხმად აღიარა, ასეთი ბურთი იშვიათად გვინახავსო. ტაიმის დამთავრებამდე კიდევ შეიქმნა არაერთი სახიფათო მომენტი, მაგრამ უშედეგოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც: თბილისელი მცველების მიერ საჯარიმოდან გამოტანილ ბურთს ქოიავა დაეუფლა და შეუჩერებლად, ზუსტად გაგზავნა კარისკენ. აქედან მოყოლებული სტუმრებმა იძალეს, ბოლნისელთა [illegible] ან უჭირდათ მეტოქეთა შეკავება და ძირითადად ბურთის უმისამართო მოგერიებით კმაყოფილდებოდნენ. თბილისელთა ერთი შეტევისას მასპინძლები ვოლკოვის ოსტატობამ და ძელმა იხსნა, ბოლნისელთა მეკარემ შემდგომაც არაერთხელ გამოიჩინა თავი და 75-ე წუთზე პენალტის მოგერიებაც შეძლო. „მერანი" ამანაც არ გატეხა, არც ამის მერე შეუნელებია იერიშები და თამაშის მიწურულს სანატრელსაც მიაღწია — საჯარიმოში შეჭრილმა ჭანტურიამ მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსა ბურთი. დაძაბული თამაშის მიუხედავად ფეხბურთელები ძალიან კორექტულად ირჯებოდნენ, მსაჯებმაც (მალალურაძე, სილაგავა, ხეჩუაშვილი) უშეცდომოდ იმოქმედეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. „მერანი 91"-მა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა — გუნდს აშკარად ეტყობა გამოცდილი მწვრთნელის ანზორ გძელიძის ხელი. თბილისელებმა უკეთესი ფიზიკური კონდიციების წყალობით მთელი შეხვედრა ენერგიულად ითამაშეს და ამაში აშკარად დაჩაგრეს შედარებით ნელი მეტოქე, სტუმრებს არც ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება დაეწუნებოდათ. შეხვედრის ასეთმა შედეგმა კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია ქვეჯგუფში, პირველ ჯგუფში გადასვლის თეორიულ შანსს კიდევ ოთხი გუნდი ინარჩუნებს, ას რომ, ფინიში, უეჭველია, დაძაბული იქნება.

რევაზ შენგელია,
ბოლნისი — თბილისი

24-ე ტურის გამოტოვებული მატჩი

ზოოვეტი — არაგვი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მესხეთი | 24 | 18 | 4 | 2 | 63-25 | 58 |
| სიონი | 24 | 17 | 4 | 3 | 66-20 | 55 |
| მერანი 91 | 24 | 16 | 5 | 3 | 47-14 | 53 |
| ზოოვეტი | 24 | 16 | 4 | 4 | 69-25 | 52 |
| მერანი-ბაჩო | 24 | 11 | 6 | 7 | 48-29 | 39 |
| შირაქი | 24 | 10 | 2 | 12 | 27-33 | 32 |
| აზოტი | 23 | 8 | 8 | 7 | 32-30 | 32 |
| გვარდია | 24 | 8 | 7 | 9 | 34-35 | 31 |
| ქიზიყი | 24 | 7 | 7 | 10 | 35-43 | 28 |
| ახკ | 24 | 7 | 5 | 12 | 28-41 | 26 |
| თორი | 24 | 7 | 4 | 12 | 34-50 | 25 |
| ჭაბუკიანი | 24 | 7 | 2 | 15 | 18-46 | 23 |
| არაგვი | 23 | 5 | 8 | 10 | 27-38 | 23 |
| ავაზა | 24 | 5 | 6 | 13 | 27-53 | 21 |
| მრეტები | 24 | 4 | 6 | 14 | 25-52 | 18 |
| ალაზანი | 24 | 4 | 4 | 16 | 23-50 | 16 |



იოსებ გრიშიკაშვილი და აკაკი დევაძე

## რუსეთი

VI ტური, 13 მაისი. სპარტაკი (მოსკოვი) — სპარტაკი (ვლადიკავკაზი) 1:2, დინამო — ურალმაში 3:0, ლოკომოტივი (მოსკოვი) — ჟემჩუჟინა 1:1, როსტსელმაში — ტორპედო 1:2, დინამო-გაზოვიკი — ცსკა 2:0, ტექსტილშჩიკი — კამაზი 1:0, ჩერნომორეცი — როტორი 2:1, კრ. სოვეტოვი — ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) 1:1

ორი „სპარტაკის" მატჩის დასაწყისშივე, მსაჯმა კაპიტანთა წაკინკლავება ორივეს — ონოპკოსა და ჯიოევის გაძევებით აღკვეთა. ქართველთაგან მხოლოდ ყაველაშვილი თამაშობდა და ორივე გოლი სწორედ მისი მონადინების წყალობით გაიტანეს კანიშჩევმა და დერკაჩმა. მამედოვმა მატჩის მიწურულს შეამცირა სხვაობა. თამაშის შემდეგ ტელეფონით დავუკავშირდით შელიას, რომელსაც „როსტსელმაშთან" თამაშისას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და მკურნალობის კურსს, რევიშვილივით, თბილისში აგრძელებს. მისი თქმით, ორივენი 25 მაისს გაემგზავრებიან ვლადიკავკაზს.

ტელეფონით ვესაუბრეთ როსტოვში აკაკი დევაძესაც. როსტოველ მცველებს კვლავაც „უპაქკაციათ" „ტორპედოსთან" და მეორე ტაიმის მეათე წუთზე „როსტსელმაში" შინ 0:2 აგებდა. ბოლოს ბალახნინს პრესტიჟის გოლი გაუტანია. დევაძემ, არ დამიჯერებთ და, ამხელა კაცი მატჩის მერე ბოლმისგან ავტირდიო. როსტოველთა მწვრთნელს ენვერ იულგუშოვს მოთმინების ფიალა ავსებია და ნეფარიძესთან ერთად მცველ გოჩა გუჯაბიძის მიწვევაც განუზრახავს. სპანდერაშვილს კვლავ ტრავმის გამო გასცდენია თამაში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 12-2 | 18 |
| ლოკომოტივი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| ვლადიკავკაზი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-3 | 12 |
| ცსკა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 10 |
| სპარტაკი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-9 | 10 |
| ტორპედო | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| კამაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-6 | 7 |
| გაზოვიკი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-11 | 7 |
| ტექსტილშჩიკი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| კრ. სოვეტოვი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-7 | 6 |
| ჩერნომორეცი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-10 | 6 |
| ჟემჩუჟინა | 6 | 1 | 3 | 2 | 7-12 | 6 |
| ურალმაში | 6 | 2 | 0 | 4 | 9-14 | 6 |
| როსტსელმაში | 6 | 2 | 0 | 4 | 6-14 | 6 |
| როტორი | 6 | 1 | 2 | 3 | 9-9 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-7 | 3 |



ზაურ ხაპოვი

# ვლადიკავკაზის «დინამო»

„სპარტაკის" ბაზა მართლაც საუცხოო სანახავია, თუმცა, იქ შესული სულ სხვა რამემ გამაოცა — ლამის იყო, თავი დილმის ბაზაზე მეგონა, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან მხოლოდ ქართული საუბარი მესმოდა, ჩვენებზე არას ვამბობ, არც თეთრაძის ქართული გამკვირვებია, თედეევისა და ჯიოევის ქართულმა კი მართლა გამაოცა. იმავწამს იმ ფეხბურთელების დათვლა დავიწყე, ან „დინამოში" რომ აიდგეს ფეხი, ანაც სულაც აქ ჩამოყალიბდნენ ფეხბურთელებად: თეთრაძე, ხაპოვი, თედეევი, ჯიოევი, ყაველაშვილი, შელია, რევიშვილი, ამას დაუმატეთ გრიშიკაშვილი, მწვრთნელთა — გაზაევ-გუცაევის დუეტი, ბაზის ქართველი დირექტორი წამალაიძე და ამ წერილის სათაური სულაც არ მოგეჩვენებათ გაზვიადებულად...

ჯერ გუნდის კაპიტანს, ინალ ჯიოევს გავესაუბრე. ჯიოევი კაპიტნობის გარდა „სპარტაკის" ნახევარდაცვის შემკვრელი ფეხბურთელია და „სპორტ-ექსპრესის" ტურის სიმბოლურ ნაკრებებში არაერთხელ მოხვედრილა.

**— ინალ, თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი იყავით. შემდგომში როგორ წარიმართა თქვენი კარიერა?**

— კარგა ხანს „დინამოს" დუბლში ვიყავი, დღევანდელივით მახსოვს ნოდარ ახალკაცის მოხსნა, დილმის ბაზაზე ვიყავი იმ საღამოს. ზონინის მოსვლაც მახსოვს. ყიფიანთანაც მიმუშავია, მაგრამ მაშინ „დინამოს" ძირითადში მოხვედრა, ფაქტიურად, შეუძლებელი იყო — დიდი ოსტატები თამაშობდნენ. ჩემთვის არავის ეცალა, მეც 1988 წლის ბოლოს ცხინვალის „სპარტაკს" მივაშურე, ერთი წლის შემდეგ კი გაზაევმა ვლადიკავკაზში დამიძახა. მას შემდეგ აქ ვარ...

**— „დინამოს" ძირითადში ვერმოხვედრას გულში სხვა რამეს ხომ არ აბრალებ?**

— გამორიცხულია. „დინამოში" არასოდეს მიგრძვნია, შენ ოსი ხარ, მე ქართველი... რა უნდა მეთამაშა ისეთი 17 წლის ბიჭს, რომ იმ ვარსკვლავებისთვის მეჯობნა? მაშინაც და ახლაც „დინამოს" თავგადაკლული გულშემატკივარი ვიყავი და ვარ, მეგონა, დედამიწაზე ჩემნაირად არავინ ქომაგობდა „დინამოს" და ახლაც ასე მგონია. არა, ასეთი გუნდი მთელს საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. დღემდე თბილად ვიგონებ ჩემს ქართველ მწვრთნელებს ბორის სიჭინავას და ნიკა ამირეჯიბს. არ დამზარდეთ და, მომიკითხეთ, თბილისში რომ ჩახვალთ...

**— „სპარტაკის" ქართველ მოთამაშეებზე რას იტყვით?**

— გრიშიკაშვილი ალალი, ემოციური და საყვარელი ბიჭია. მომავალი წინ აქვს, მისგან უთუოდ კარგი მეკარე დადგება. შელია მეომარია, სულით ხორცამდე ფეხბურთელი, მისნაირი მცველი რუსეთში იშვიათია. ტექნიკური რევიშვილი კი „სპარტაკისთვის" ნაღდად მისწრებაა, მშვენივრადაც მოერგო გუნდს. ყაველაშვილს, ცოტა ხანია, ვიცნობ, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ტექნიკური, ჭკვიანი და საშიში ფორვარდია. ვგრძნობ, რასაც თამაშობს, ორი იმდენი შეუძლია. ჯერ ნერვიულობს, არც უმართლებს, მაგრამ მალე გაიხსნება და... ომარ თეთრაძეს ბავშვობიდან ვიცნობ. იგი ერთადერთი ფეხბურთელია რუსეთში, ვისაც ნებისმიერ ადგილზე ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში...

ბახვა თედეევს პირველად კიევის „დინამოსთან", მისთვის სადებიუტო მატჩში 1988 წელს გატანილი გოლი გავახსენე...

— იმ მომენტში ჩინებულად გამომივიდა დარტყმა. ერთხელაც ალმოვჩნდი საგოლე სიტუაციაში, მაგრამ ვეღარ ვივარგე. ის სეზონი კარგად დავიწყე, მაგრამ მერე და მერე ტრავმებმა გამტანჯა, ვეღარც ძირითადში ვხვდებოდი. გაზაევის წინადადება პირდაპირ მისწრება იყო ჩემთვის.

**— „დინამოში" ოდესმე დაჩაგრულად თუ გიგრძვნია თავი, აქაოდა, ოსი ხარო...**

— არასოდეს. ახლაც მახსოვს ის ბრწყინვალე წუთები, „დინამოში" რომ ვთამაშობდი. ეს გუნდი ყველა ჩვენგანის ოცნების გუნდი იყო.

ზაურ ხაპოვმა ჯერ ჩვენი ხუთი წლის წინანდელი ინტერვიუ გაიხსენა, მერ კი დაწვრილებით გამომკითხა აქაური ამბები...

— ერთი სეზონი მართლაც ქართველი გულშემატკივრის სიყვარულით ვითამაშე. თბილისისნაირი ქალაქი, მგონი, მთელს დედამიწაზე არ არსებობს, ისე მივეჩვიე, თითქოს ძირძველი თბილისელი ვყოფილიყავი. ჰოდა, პირველი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „დინამომ" ახალთახალი „ნოლ-ექვსი" მაჩუქა. სულ სიხინით ჩამოველი ვლადიკავკაზში, კაცს არ გავუჩერებივარ. აქ კი, შუა ქალაქში, ვილაცეებმა გამაჩერეს, ავტომატები დამაღირეს და ახალთახალი მანქანა წამართვეს...

**— ერთი წლის წინ რომანცევი გიწვევდა „სპარტაკში", რატომ არ წახვედი?**

— ახლაც ბევრი კლუბი მიწვევს, მაგრამ არ მივდივარ. აქ კარგად ვგრძნობ თავს, გუნდიც კარგია და პირობებიც. მივეჩვიე. თუმცა, რომც წავიდე, გრიშიკაშვილის დიდი იმედი მაქვს, „სპარტაკს" მეკარის პრობლემა არ ექნება.

**— შენი აზრით, ვინაა ახლა უძლიერესი მეკარე რუსეთში?**

— რასაც ვუყურებ — დევაძე. „დინამოში" ერთად ვიყავით და მე ძალაუნებურად „ხელს ვუშლიდი" თავის სრულად გამოჩენაში. მაშინვე ეტყობოდა, ჩინებული მეკარე რომ დადგებოდა. თავის დროზე ოთარ გაბელიამ გამიწია დიდი დახმარება, მისგან ბევრი ვისწავლე, მეც ვცდილობდი, იგივე გამეკეთებინა დევაძისთვის.

**— მახსოვს, შენზე შეყვარებული თბილისელი გოგოები ბაზის კარებს რომ ატალახებდნენ, სტადიონზეც შენი ხათრით დადიოდნენ. ვინც გაიგო, რომ ვლადიკავკაზში მოვდიოდი, ყველამ მოკითხვა დამაბარა.**

— ჩემგანაც იგივე გადაეცი. ყველა მახსოვს. სხვათა შორის, თბილისიდან წამოსვლის მერე მალე დავოჯახდი, ქალ-ვაჟი მყავს...

ხაპოვს, ეტყობა, მანქანების გამტაცებლები ცუდად დაებედა. ფარერის კუნძულებთან მატჩის შემდეგ ზაური „ლოკომოტივის" მეკარე ბიჯიევს მანქანით წაუყვანია. სანამ ბიჯიევი მაღაზიაში საყიდლებს არჩევდა, ზაურს მანქანაში სამი უცნობი ჩაუჯდა და გაძარცვა დაუპირა. ზაურმა სამივე წიხლქვეშ გაიგდო და იმდენი ურტყა, გაქცევისას ერთ-ერთმა ძვირადღირებული პალტოც კი შეატოვა, ემანდ არ შემოვაკვდეო...

ჩემპიონატის სტარტზე, თასის მეოთხედფინალში, არზამასის „ტორპედოსთან" შეხვედრის წინ, ქართული ფეხბურთის „დამფასებელ" ერთ რუს ჟურნალისტს გაზაევისთვის დაცინვით უკითხავს, გამოცდილი და კარგად მოთამაშე მარხელი, ძობლაევი, ლებედი, კაჩმაზოვი და ასადოვი რომ გაუშვით, სანაცვლოდ კი უცნობი ქართველები მოგყავთ, როგორ გგონიათ, თავიანთი დაბალი დონის ჩემპიონატში მოასპარეზე თბილისის დინამოელები „სპარტაკის" პროგრესს ხელს შეუწყობენო? ამაზე გაზაევს უპასუხნია: ჩვენ ახლა დიდი მიზნები დავისახეთ და ქარველებიც იმად ავიყვანეთ. გეთანხმებით, რომ საქართველოს ჩემპიონატი რუსეთისას ჩამოუვარდება, მაგრამ ჩვენ ხომ საქართველოდან საუკეთესო ფეხბურთელები შევარჩიეთ. შელია გერმანიაში თამაშობდა, რევიშვილი პოლონეთში, მანამდე სსრკ ნაკრებიდანაც მახსოვს, ყაველაშვილი კი „დინამოს" წამყვანი ფორვარდია, ასეთი მოთამაშეები, ჩემი აზრით, რუსეთში ცოტაა, თანაც, ვცდილობთ გუნდი კავკასიელი ფეხბურთელებით დავაკომპლექტოთ. გრიშიკაშვილს რაც შეეხება, ახლა ნამდვილად დავისვენე — ორი ძლიერი მეკარე მყავსო...

სოსო გრიშიკაშვილმა რომ ახლახან ერთობ კურიოზული გაფრთხილება მიიღო, წინა ნომერში გაუწყეთ. შეგახსენებთ: ჯიოევის მეორე გოლის მერე გახარებული გავარდა მინდორზე და მსაჯმაც ყვითელი ბარათით დასაჯა.

— ეს თამაში ბევრს წყვეტდა ჩვენთვის, მეორე გოლმა კი, ფაქტიურად, დაამთავრა მატჩი, ამიტომაც გამიხარდა ასე. არადა ორიოდე ნაბიჯით ვიყავი მინდორზე შესული.

**— ამ თამაშამდე და ხაპოვის ტრავმამდე რატომ არ განდობდა გაზაევი კარის დაცვას?**

— მოსამზადებელ პერიოდში 21 მატჩიდან 15 მე ვითამაშე, მაგრამ ზედ ჩემპიონატის წინ „ოთხთა ტურნირში" ძალზე ცუდად გამოვედი, მოსკოვის „დინამოსთან" ოთხი ბურთი გავუშვი. ალბათ ამიტომაც იყოყმანა გაზაევმა. ისე, ხაპოვს რა ნდობა უნდა. ეგეთი მეკარე, დევაძეს თუ არ ჩავთვლით, რუსეთში არ თამაშობს. ხაპოვის სისუსტე ჯერ არ მინახავს, მისგან ბევრს ვსწავლობ და ძალიან მეხმარება. მესამე მეკარეც გვყავს, გვარად გაზაევი.

**— „სპარტაკს" მეკარეებისთვის ცალკე მწვრთნელი ჰყავს?**

— კი, ყოფილი მეკარე იანოვსკი, მაგრამ თბილისის „დინამოში" რომ იური სტადუხინი მუშაობს, მას მეკარეთა მომზადებაში ვერავინ შეედრება. ჩემზეც დიდი ამაგი აქვს, მასთან მეცადინეობისას მოვლონიერდი კიდეც და ბევრი აუცილებელი რამაც ვისწავლე. ახალგაზრდა მეკარეებს ვურჩევ იური სტადუხინს მიაკითხო, არ ინანებენ.

**— რუსეთის მოქალაქეობა რაღად მიიღე?**

— ისევე, როგორც რევიშვილმა, მეც კლუბის ინტერესებისთვის დავწერე განცხადება. როგორც ამიხსნეს, ორი წელი აქვს ვადა, თანაც საქართველოს ნაკრებში თუ მიგიწვიეს, ხელს არ შეგიშლისო...

**— ჩვენი ბიჭები კარგად შეეწყვნენ გუნდს?**

— ჯერჯერობით ვერავინ ვერაფერს აკლებს მოედანზე...

მურთაზ შელიას თავგამოდებისა და თავლადების ამბავი წინა ნომერში მოგითხრეთ. მატჩის მერე მურთაზს ისევ დაეწყო თავის ტკივილები და ახლა ინტენსიურად მკურნალობს, რათა 7 ივნისისთვის, საუელსოდ სრულ მზადყოფნაში იყოს.

**— მურთაზ, „სპარტაკის" შემადგენლობაში ოთხი ოფიციალური და ოცამდე ამხანაგური მატჩიც ითამაშე, მცველის კვალობაზე გოლებიც საკმაოდ გაიტანე, ნამეტანი ხომ არ ერთობი შეტევებით?**

— ჩემი წინ წასვლა სტანდარტული სიტუაციების დროს მწვრთნელთან ერთად კარგად დამუშავებული ვარიანტია, ისე კი, როცა ამის საშუალება მეძლევა, მხოლოდ მაშინ ვუტევ. რუსეთის ჩემპიონატში ფორვარდები საჯარიმოს ხელაღებით მიტოვებას არ გაპატიებენ.

**— ვინც ნახე, რომელ ფორვარდს გამოარჩევდი?**

— მოსკოვის არმიელებს ლებედსა და ფაიზულინს. მართალია, ამხანაგურ მატჩში 3:0 მოვუგეთ, მაგრამ ორივემ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მიკვირს, სეზონის წინ ლებედი რატომ გაუშვეს „სპარტაკიდან" — ახლა ჩემპიონატის ბომბარდირია.

**— მცველთაგან ვინ მოგეწონა?**

— ჩემი ჯარისდროინდელი მეგობარი და კოლეგა იური კოვტუნი. ჩვენ როსტოვში ერთად ვთამაშობდით ჯარში ყოფნისას, ის წინა, მე — უკანა მცველად. მოსკოვის „დინამოს" დაწინაურებაში მისი წვლილიც დიდია.

**— წელს რისი მიღწევა შეგიძლიათ?**

— ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ, ძირითადი კონკურენტები, ტრადიციულად, მოსკოვის ხუთივე გუნდი იქნება. სხვები ამათთან ჯერ ვერ მოვლენ.

**— გუნდის ლიდერად ვის თვლი?**

— თედეევი, ჯიოევი, ხაპოვი და თეთრაძე ყველაზე მაგრად დგანან. რევიშვილმა კი რაც ითამაშა, აქამდე არ მცნობია-მეთქი, ვფიქრობდი...

მიხეილ ყაველაშვილი „სპარტაკის" ბოლო ახალწვეულია, ამიტომაც ნელ-ნელა, თანდათან ერგება გუნდის სათამაშო სტილს. ვლადიკავკაზში ყველა ერთხმად გაიძახის, მიშა რომ თავიდანვე ჩვენთან ყოფილიყო, ახლა ჩემპიონატის ბომბარდირი იქნებოდაო...

**— მიშა, თუ მაინც გადაწყვეტილი გქონდა „სპარტაკში" წამოსვლა, თავიდანვე წამოსულიყავი.**

— მაშინ „დინამოს" უჭირდა, რაც უნდა იყოს, კლუბს ჩემზე დიდი ამაგი აქვს. აპრილის ბოლოს კი, რაკიღა ტრანსფერების ვადა იწურებოდა, წამოსვლა გადავწყვიტე. „დინამოსთვის", რაც შემეძლო, გავაკეთე და დრო იყო, ჩემი თავისთვისაც მიმეხედა.

პირველი თამაშისას თანაგუნდელთა სახელებიც არ ვიცოდი, ამიტომ საერთო ენა თითქმის ვერ გამოვნახეთ. ახლა ნელ-ნელა ვეჩვევი, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, „სპარტაკი" ნაღდი პროფესიული კლუბია, მიზნებიც სერიოზული აქვს.

**— მტკივანი კოჭი აღარ გაწუხებს?**

— ჯერ არ მომშუშებია, ამიტომ ყველა თამაშზე დამცავი სახვევით გამოვდივარ.

**— სულეიმანოვს თუ შეეწყვე თავდასხმაში?**

— ის-ის იყო, რაღაც უნდა გამოგვსვლოდა, რომ ახლა ის დაშავდა.

**— გაზაევმა როსტოველებთან თამაშის წინა დღეს ყველანი რომ იფრინა უჯიგრო ვარჯიშისთვის, შენ როგორღაც რბილად გითხრა, მიშა, შენც მიჰყევიო...**

— მწვრთნელს რომ ვარჯიში ასე შეეწყვიტოს, პირველად ვნახე, ვფიქრობ, ესეც გაზაევის პროფესიონალიზმზე მეტყველებს.

**— სად უფრო ძლიერი მცველები არიან, რუსეთში თუ საქართველოში?**

— ჩვენთან მცველები უფრო ჭკვიანურად მოქმედებენ, თანაც ბურთის სუფთად ართმევაზეც ფიქრობენ, აქ კი, ოღონდ ბურთი წაგართვან და შეიძლება კოჭებშიც გვარიანად მოგცხონ. ფიზიკური მომზადების მხრივ კი შედარებაც არ შეიძლება — ჩვენ მცველებს რომ ამათნაირი კონდიციები ჰქონდეთ, ვერაფრით აჯობებდი. თანაც, რუსეთში უფრო პერსონალურ დაცვაზე არიან აღზრდილები.

**— ჯერაც უგოლოდ რომ ხარ, მეტოქეთა მეკარეებს დავაბრალოთ, მცველებს თუ თავად შენი ბრალია?**

— ალბათ ყველას ერთად, ისე, მეკარეებიც ძლიერები ჰყავთ, მაგრამ ვინც ვნახე, ყველას დევაძე სჯობია.

**— თბილისის მერე ვლადიკავკაზს როგორ შეეგუე?**

— ქალაქი ხეირიანად არც მინახავს, მაგრამ გუნდს კი უცებ შევეგუე. ძალიან კარგი ბიჭები ჩანან, ყველაფერი თავის დროზე იციან, ფეხბურთიც და ამხანაგობაც.

მამუკა კვარაცხელია

ვლადიკავკაზი — თბილისი

ბავშვთა საფეხბურთო პროფესიული კლუბი „კოდაკო" 20 მაისიდან იწყებს 1985 (1 აგვისტოს შემდეგ) — 1986 წლებში დაბადებული ბავშვების მიღებას. სწავლა უფასოა. მიმართეთ გია ცუცქირიძეს მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე (დიდუბე, მირცხულავას 5)

შეიძინეთ დ.ს.პ.-ს. ტელეფონები 34-36-13 (სოსო), 95-04-25 (პაატა)

# იტალია

## ეს ორი მაისური რაღაა?!

31-ე ტური. 13-14 მაისი. ორი მატჩი შაბათს შედგა: „იუვენტუსმა“ და „პარმამ“ ხვალ უეფას თასის მფლობელი უნდა გაარკვიონ და დაგეგმილზე ერთი დღით მეტი დასვენება მოითხოვეს. საევროპო რეპეტიცია ორივე გუნდმა წარმატებით ჩაატარა, თუმცა ტურინელთა გამარჯვება აშკარად უფრო შთამბეჭდავი იყო.

### ჯენოა 0:4 იუვენტუსი

ჯენოა: მიჩილო (78 სპანიული), ტორენტე, დელი კარი, რუოტოლო, გალანტე, კარიკოლა, ვანტ სხიპი (65 მიურა), ბორტოლაცი, ონორატი, სკუპრავი, მარკოლინი.

იუვენტუსი: რამბულა, ფერარა, იარნი, ტაკინარდი, ტორიჩელი, პაულო სოუზა (74 მაროკი), დი ლივიო (80 დელ პიერო), დეშამპი, ვიალი, რ. ბაჯო, რავანელი.

28 000 მაყურებელი

შინ „ლაციოსთან“ განადგურების შემდეგ „იუვენტუსს“ გამარჯვება უწინარესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სჭირდებოდა, მასპინძლებს კი უკან დასახევი გზა, კარგა ხანია, მოჭრილი აქვთ, მაგრა დიდ კაცთან პატარა კაცსაო... პირველ ტაიმში საინტერესო მხოლოდ ფერარას თაური დარტყმა (ბურთი ძელს მოხვდა) და გალანტეს გაძევება იყო. მეორეში კი სტუმარმა ხელები დაიკაპიწა. მეექვსე წუთზე დი ლივიომ მარჯვნიდან ჩააწოდა, მიჩილოს ბურთი ხელიდან გაუვარდა და რავანელიმ მეკარისაგან მიტოვებულ კარში დაარტყა — ბურთს მცველი ვინჩენცო ტორენტე გადაეღობა და მოიგერია, მაგრამ ეს ხელით გააკეთა. მსაჯმა პენალტიც დანიშნა და მიჩილოს დროებითი შემცვლელი მოედნიდან გააძევა. რობერტო ბაჯომ ანგარიში გახსნა. ათ წუთში ვიალის პასით ამას რავანელიმ ზუსტი თაური დაუმატა. აქ ცხადი გახდა, რომ ცხრა კაცით დარჩენილი ისედაც მაჩანჩალა „ჯენოა“ ლიდერს ხიფათს ვერ შეუქმნიდა და წინ მარცხენა მცველი, ხორვატი რობერტ იარნიც წავიდა. თანაგუნდელებმაც არ გააწბილეს, ბურთი დასარტყმელად დაუგორეს და ამანაც „სერია A“ში თავისი პირველი, გოლი შეაგდო. „იუვენტუსი“ ამით არ დაკმაყოფილდა, ალბათ, ხვალინდელი თამაშის წინ „პარმას“ დაშინება სურდა, და ბოლო წუთზე რავანელის პასით ვიალიმ მეოთხე გოლი გაიტანა. გენუელებმა ამ სეზონში პირველად შინ დიდი ანგარიშით წააგეს.

### პარმა 1:0 ბარი

პარმა: ბუჩი, ბენარივო, დი კიარა (46 მუსი), მინოტი, აპოლონი, ფერნანდო კოუტუ, ფიორე, დ. ბაჯო (63 პინი), კრიპა, ძოლა, ასპრილია.

ბარი: ფონტანა, მონტანარი, ანონი, ბიჯიკა, ამორუზო, მანგონე, გაუტიერი (78 ალეზიო), პედონე, ტოვალიერი, ჯერსონი (74 ბარონე), გერერო.

21 000 მაყურებელი

პარმელებმა „იუვენტუსზე“ გაცილებით ადრე გახსნეს ანგარიში: 20 წლის სტეფანო ფიორემ მე-13 წუთზე „სერია A“-ში თავისი პირველი გოლი შეაგდო და გახარებული გუბეში ჩაწვა. ალბათ სწორედ თავსხმა წვიმამ შეუშალა ხელი მასპინძლებს უკეთესი შედეგის მიღწევაში, თუმცაკი ასპრილია სამჯერ მაინც აღმოჩნდა საგოლე პოზიციაში, მაგრამ უშედეგოდ.

### ბრეშია 1:2 ნაპოლი

ბრეშია: გამბერინი, მეცანოტი, ჯუნტა, ბარონიო (46 დი მური), ბარონკელი, ბონომეტი, სკენარდი, კორინი, ნერი, პიოვანელი (46 მარანგონი), გალო.

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი (88 რ. ლონგო), კანავარო, კრუზი, ბუზო, რინკონი, აგოსტინი, იმბრიანი, პეკია.

7 115 მაყურებელი

მასპინძლებმა უკვე დაიბევეს ქვედა ლიგაში გადასვლა, სტუმრები კი ცხრილის შუაში არიან და არაფერის არც შიში აქვთ და არც იმედი, ამიტომაც შეხვედრა უინტერესო გამოდგა. ანგარიში სტუმართა 19 წლის თავდამსხმელმა კარმელო იმბრიანიმ გახსნა 37-წუთზე, მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე კი გამბერინიმ უხეიროდ მოიგერია რინკონის დარტყმული და მასიმო აგოსტინიმ მეორე გაიტანა. მასპინძელთა კინკილა გოლი, რომელიც დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გავიდა, 24 წლის ფაბიო გალოს ანგარიშზეა.

### კალიარი 0:2 სამპდორია

კალიარი: ფიორი, პანკარო, პუშედუ, ვილა, ერერა, ფირიკანო, ბიზოლი, ბერეტა (63 ალეგრი), დელი ვალდესი, ოლივეირა, მუცი.

სამპდორია: ძენგა, მანინი, სერენა (60 ბელუჩი), გულიტი, ვერხოვოდი, საკეტი, ლომბარდო, იუგოვიჩი, პლატი, მანჩინი, ინვერნიცი.

19 318 მაყურებელი

ჯერჯერობით ორივე გუნდი იმ ექვსეულის მიღმაა, ევროთასებზე გამოსვლის უფლებას რომ იძლევა, მაგრამ თუ „მილანი“ ჩემპიონთა თასს შეინარჩუნებს, მეშვიდე ადგილზე გასული გუნდიც მოხვდება უეფას თასზე, ამიტომ ამ მატჩს სარდინიაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აქამდე „კალიარიმ“ შინიდან მხოლოდ „რომას“ გაატანა სამი ქულა და ფავორიტადაც ის ითვლებოდა, მაგრამ ძენგამ და პადოველმა არბიტრმა კუნძულელებს ხელი შეუშალეს: პირველს, ალბათ, სინდისი აწუხებს, რომ თასების თასიდან სწორედ მისმა შეცდომამ გამოაგდო გუნდი და ახლა ევროთასების საგზურს ყველაზე მეტად იგი ლამობს. შაბათს 35 წლის მეკარემ მასპინძელთა ყველა დარტყმა მოიგერია, ამასობაში კი მანჩინიმ ორი გოლი შეაგდო: 62-ე წუთზე ორი მცველი ერთი მოძრაობით მოიცილა და ცაციათი ბურთი ცხრიანში გაახვია, 11 წუთში კი გულიტის პასი გამოიყენა. ყოველი გოლის შემდეგ მსაჯი თითო მასპინძელს აძევებდა — ერერასა და ოლივეირას გარეშე „კალიარიმ“ პრესტიჟის გოლიც ვერ გაახერხა.

### ფოჯა 2:1 ფიორენტინა

ფოჯა: ფ. მანჩინი, პადალინო, ბიანკინი, ნიკოლი, დი ბიაჯო, კაინი, მანდელი, ბრესანი, კაპელინი (85 ჯაკობო), დე ვინჩენცო, კოლივანოვი.

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, ლუპი, პიოლი (80 ძანეტი), მარსიუ სანტუში, მალუში, ა. კარბონე, დი მაურო (66 ტედესკო), ბატისტუტა, რუი კოშტა, ბაიანო.

12 865 მაყურებელი

მასპინძლებმა უკვე იცოდნენ უშუალო კონკურენტის „ჯენოას“ განადგურების ამბავი და მისი გადასწრების შანსი ხელიდან არ გაუშვეს. იმ დროს, როცა ბომბარდირთა ლიდერი ბატისტუტა დარტყმას დარტყმაზე აცუდებდა, რუსმა კოლივანოვმა არგენტინელის თანაგუნდელებს სიქა გააძრო და ამათაც ვეღარ გაუძლეს. არადა, ანგარიში „ფიორენტინამ“ გახსნა: მეათე წუთზე ბატისტუტა პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ვერ მოარტყა, თუმცა ფრანჩესკო მანჩინისაგან ასხლეტილ ბურთს პირველმა ექს-ბენფიკელმა რუი მანუელ სეზარ კოშტამ მიუსწრო და სამხრეთამერიკელი მეგობრის შეცდომა გამოასწორა. ტაიმის ბოლომდე მასპინძლები ვერას გახდნენ, თუმცა კოლივანოვი სამიზნეს ისწორებდა და ორი საჯარიმო დარტყმა მცირედით ააცილა. შესვენებაზე ყოფილმა მოსკოვის დინამოელმა, ეტყობა, ბუცი კარგად მოირგო და მეორე ტაიმის პირველივე წუთზე წონასწორობა აღადგინა: კარნაშალი და მალუში იოლად მოატყუა და ძლიერი დარტყმით ტოლდოც უსაქმოდ დატოვა. ამის მერე მსაჯმა „ფოჯას“ ჯერ გოლი გაუუქმა, ცოტა ხანში კი იმავე რუსის წაქცევისთვის აშკარა პენალტი არ დანიშნა. მოკლედ, ბატისტუტას ერთ-ერთი კონტრშეტევისას მაინც რომ ევარგა, მსაჯის წყალობით „ფოჯა“ წააგებდა კიდეც, მაგრამ სამართალმა პური ჭამა და 83-ე წუთზე ბრესანის პასით მასიმილიანო კაპელინიმ გადამწყვეტი ბურთი შეაგდო. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე კოლივანოვს კიდევ ერთის გატანა შეეძლო: მისი მორიგი წაქცევა საჯარიმოში მსაჯმა ამჯერად შენიშნა, თუმცა რუსმა პენალტი სუსტად დაარტყა და ბურთი ტოლდომ მოიგერია. საინტერესოა, რომ მსაჯმა ამ მატჩის მონაწილეთა თითქმის ნახევარს (ბიანკინი, მანდელი, ლუპი, მარსიუ სანტუში, რუი კოშტა, დი მაურო, ბატისტუტა, კარნაშალი, ტოლდო) თავი ყვითელი ბარათით დაამახსოვრა.

### ლაციო 4:1 ინტერი

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი, დი მატეო, ბერგოდი, შამოტი, რამბაუდი, ფუზერი (87 ვენტურინი), ბოკშიჩი (82 კაზირაგი), ვინტერი, სინიორი.

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, მ. პაგანინი, ან. ორლანდო (50 მ. კონტე), ფესტა, ბია, ბიანკი (48 სოსა), იონკი, დელვეკიო, ბერტი, ორლანდინი.

49 823 მაყურებელი

ხუთი წუთით დაგვიანებულ რომაელ გულშემატკივრებს ტაბლოზე შემაშფოთებელი ანგარიში დახვდათ — მეოთხე წუთზევე ორლანდინის კუთხურის დროს ბერტიმ იმდენი იბრძოლა, სანამ ბურთი მარკეჯანის კარში არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს სტუმართა ბოლო წარმატება იყო. იტალიის ნაკრების ორი მეკარის თამაში დიდად არ განსხვავდებოდა, მასპინძელთა თავდასხმა კი აშკარად სჯობნიდა სტუმრისას და პალიუკას კარში ოთხჯერ მეტი ბურთი შევარდა. 35-ე წუთზე „ინტერის“ მეკარემ სინიორი მოცელა. მსაჯმა პენალტი კი დანიშნა, მაგრამ სინიორის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, პალიუკა არ გააძევა. „ლაციოს“ გაბრაზებულმა კაპიტანმა პენალტი თავად დაარტყა და ანგარიშიც გაათანაბრა. სამ წუთში ვინტერის პასით მცველმა პაოლო ნეგრომ მეორე შეაგდო. 72-ე წუთზე კი რობერტო რამბაუდიმ ბოკშიჩის გადაცემა გამოიყენა. ამ გოლებს შორის პალიუკას მოცლა არ ჰქონდა, მისი რომაელი კოლეგა კი დელვეკიომ და ორლანდინიმ სულ ორჯერ შეაწუხეს. მატჩის ბოლო წუთზე „ინტერს“ შეეძლო მინიმალური წაგებისთვის მიეღწია, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, დამატებულ 92-ე წუთზე კი სინიორიმ ჰოლანდიელ არონ მოჰამედ ვინტერს თავზე დაასვა ბურთი და ამანაც თავის გუნდს მიმდინარე სეზონში მეცხრე დიდი ანგარიშით მოგება გაუნაღდა.

### მილანი 1:0 რომა

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო (24 დონადონი), ლენტინი, ბობანი, მასარო (86 ფ. გალი), სიმონე.

რომა: ჩერვონე, ე. ანონი (81 პიაჩენტინი), ლანა, ალდაირი, პეტრუცი, კარბონი, მორიერო, სტატუტო, ბალბო, ჯანინი (75 ტოტი), ფონსეკა.

55 000 მაყურებელი

ჩემპიონთა თასის მფლობელი ჩვეული სერიოზულობით ემზადება თასის შესანარჩუნებლად: მორიგი ტურის მატჩს კვირის ნაცვლად ხუთშაბათს ჩაატარებს, გასულ კვირას კი ძალები აშკარად დაზოგა და ლენტინის კინკილა გოლს დასჯერდა. 33-ე წუთზე გატანილი ბურთი კი ნახევრად კურიოზული იყო: ლენტინიმ მარცხნიდან საჯარიმოში მასაროს ჩაუწოდა, მცველებმა ეს მუხლუგუნებით გაწიეს, მაგრამ ბურთი დაავიწყდათ და ეს ოხერიც კარში შეგორდა.

### პადოვა 3:0 რეჯანა

პადოვა: ბონაიუტი, ბალერი, გაბრიელი, ფრანჩესკეტი, კუიჩი, ლალასი, ნუნციატა, ძორატო (86 კავეცი), ვლაოვიჩი, კრეკი, მანიერო.

რეჯანა: ანტონიოლი, მოცინი, ძანუტა (80 ფალკო), დე ნაპოლი, გრეგუჩი, ლ. დე აგოსტინი, მაცოლა, ოლისე, პადოვანო, ფუტრე, გამბარო (62 სკარბოზა).

12 393 მაყურებელი

„პადოვამ“ ინტერესდაკარგული „რეჯანა“ დაიბრიყვა და პირველი დიდი ანგარიშით მოგება იზეიმა. ორი გოლი ფილიპო მანიერომ გაიტანა მე-12 და 84-ე წუთებზე, მაგრამ საუკეთესო მაინც ხორვატი გორან ვლაოვიჩი იყო: მან ჩინებულად ითამაშა, 62-ე წუთზე ბრწყინვალე (მაკრატელათი) გოლიც გაიტანა და სიხარულიც ისე გამოხატა, ამ ბოლო დროს წაკუზვა-წაწოლა-წამოჯდომას ჩვეული მაყურებელიც გააოცა — მყისვე ტრიბუნისკენ გაიქცა, მაისური გაიძრო და მაყურებლებს გადაუგდო. დარჩენილი წუთები ხორვატს შიშველს როდი უთამაშია: მას თურმე ორი ერთნაირი მაისური სცმია!

### ტორინო 1:1 კრემონეზე

ტორინო: სიმონი, ანგლომა, პესოტო, ფალკონე, ლ. პელეგრინი, მალტაგლიატი, რიციტელი, შიენცა (59 ბერნარდინი), ოზიო (70 ლორენცინი), პელე, კრისტალინი.

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, მილანეზე, ს. დე აგოსტინი (78 ფერარონი), დალ ინია, ვერდელი, კიეზა, ჯანდებიაჯი, ფლორიანჩიჩი (51 კრისტიანი), ნიკოლინი, ა. ტენტონი.

16 264 მაყურებელი

მატჩის გმირი სტუმართა 25 წლის მეკარე ლუიჯი ტურჩი იყო. მას მხოლოდ ერთხელ, 73-ე წუთზე გაუტანეს გოლი მასპინძლებმა, ისიც პენალტით. არადა, რიციტელის დარტყმულ ბურთსაც შეეხო ტურჩი, მაგრამ... დიდი უპირატესობის და არაერთი სახიფათო მომენტის მიუხედავად, ტურინელებმა 66-ე წუთზე თავად გაუშვეს გოლი, მალე კი გოლის ავტორმა კიეზამ სიმონისთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა. ასე რომ, ვინ ვის გადაურჩა, ძნელი სათქმელია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 31 | 21 | 4 | 6 | 52-28 | 67 |
| პარმა | 31 | 17 | 9 | 5 | 48-26 | 60 |
| მილანი | 31 | 16 | 9 | 6 | 51-29 | 57 |
| ლაციო | 31 | 16 | 6 | 9 | 66-34 | 54 |
| რომა | 31 | 14 | 10 | 7 | 36-21 | 52 |
| ინტერი | 31 | 13 | 9 | 9 | 34-29 | 48 |
| სამპდორია | 31 | 12 | 10 | 9 | 47-33 | 46 |
| კალიარი | 31 | 12 | 10 | 9 | 37-34 | 46 |
| ფიორენტინა | 31 | 11 | 11 | 9 | 54-49 | 44 |
| ტორინო | 31 | 11 | 9 | 11 | 37-41 | 42 |
| ნაპოლი | 31 | 10 | 12 | 9 | 37-45 | 42 |
| ბარი | 31 | 11 | 7 | 13 | 36-39 | 40 |
| პადოვა | 31 | 12 | 3 | 16 | 35-52 | 39 |
| კრემონეზე | 31 | 9 | 8 | 14 | 28-32 | 35 |
| ფოჯა | 31 | 8 | 9 | 14 | 31-45 | 33 |
| ჯენოა | 31 | 8 | 9 | 14 | 29-48 | 33 |
| რეჯანა | 31 | 3 | 5 | 23 | 21-51 | 14 |
| ბრეშია | 31 | 2 | 6 | 23 | 17-60 | 12 |

**ბომბარდირები**

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 23
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 18
აბელ ბალბო (რომა) — 18
მარკო სიმონე (მილანი) — 16
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 16
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 16
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 15
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 15

„სერია B“. ლიდერთა მდგომარეობა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 34 | 18 | 14 | 2 | 53-20 | 68 |
| უდინეზე | 34 | 17 | 12 | 5 | 54-31 | 63 |
| ვიჩენცა | 34 | 14 | 16 | 4 | 40-21 | 58 |
| სალერნიტანია | 34 | 15 | 11 | 8 | 50-35 | 56 |
| ატალანტა | 34 | 14 | 14 | 6 | 39-33 | 56 |
| ანკონა | 34 | 15 | 10 | 9 | 49-41 | 55 |
| პერუჯა | 34 | 11 | 17 | 6 | 40-25 | 50 |

# ესპანეთი

XXXIII ტური. 13 მაისი. სევილია — ლა კორუნია 0:0, ვალენსია — ატლეტიკი 3:[illegible] 14 მაისი. ბარსელონა — სელტა 1:1, ვალადოლიდი — ბეტისი 0:2, ოვიედო — რეალი 3:2, სოსიედადი — ლოგრონიესი 6:0, ტენერიფე — ალბასეტე 2:2, ატლეტიკო — სპორტინგი 3:2, სარაგოსა — რასინგი 1:1, კომპოსტელა — ესპანიოლი 1:1

## ნაბახუსევზე მოგება ჭირს

ლიდერმა სეზონში მეოთხე მარცხი იწვნია ოვიედოში, სადაც ექს-რეალელი პროსინეჩკის გუნდი ორჯერ იგებდა, იერომ პენალტით და ლუის ენრიკემ ორჯერვე გაათანაბრეს, მაგრამ ბოლო წუთზე მასპინძლებმა მაინც იძალეს. მადრიდში კი დედაქალაქელებმა იმარჯვეს. პოლონელი კოსეცკისა და კიკოს გოლების გაქვითვა ხიხონელებმა შეძლეს, მაგრამ შემცვლელად შემოსული დობროვოლსკისას ვეღარაფერი მოუხერხეს და აწი გადასასვლელ თამაშებს, ალბათ, ვეღარ აცდებიან (ესპანეთის უმაღლესი ლიგის ორი უსუსტესი გუნდი ქვედა ლიგაში პირდაპირ გადადის, ორიც დარჩენისთვის იქ მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულებს შეეჭიდება). „ლოგრონიესმა“ მთელი ძალა „ტენერიფეს“ დამარცხებას შეალია და კვირას სანსებასტიანში იმდენი გაუშვა, ამ სეზონში რომ არ უკადრია. მაჩანჩალებს ერთი გამართლება აქვთ: სანამ მათმა ძირითადმა მეკარემ ტრავმა არ მიიღო და კარში დუბლიორი არ ჩადგა, ანგარიში 0:0 იყო.

„რეალის“ მარცხით ვერავინ იხეირა. ლა-კორუნიელები შაბათს ბებეტოსა და მანხარინის გარეშე თამაშობდნენ სევილიაში და მადლობელიც უნდა დარჩნენ, რომ ქულა აიღეს. „ბარსელონა“ კი... კატალონიის დედაქალაქში უკვე ბევრი მოითხოვს ადრე გაღმერთებული კრუიფის გაძევებას — თუ ასე გაგრძელდა, „ბარსა“ უეფას თასის საგზურსაც დაკარგავს. კვირას მამის შველა შვილმა განიზრახა და ჯორდიმ უიშვიათესი სილამაზის გოლით დააწინაურა კიდეც მასპინძლები, მაგრამ „სელტამ“ ბოლომდე იბრძოლა. უეფას თასზე გასვლის კიდევ ერთი მსურველი „ესპანიოლი“ „კომპოსტელას“ წნეხის ქვეშ მოჰყვა — დებიუტანტი იგებდა, უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ ერთ მომენტში ბურთს ფეხი ააცილა და ყველაფერი წყალში ჩაყარა. არადა, ამ დროს „ესპანიოლს“ ორი კაცი გაგდებული ჰყავდა. გასული კვირის ტრიუმფატორ „სარაგოსას“, ეტყობა, ზარ-ზეიმი გაუგრძელდა და მხოლოდ ესნაიდერის პენალტის წყალობით გადაარჩინა მატჩი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 33 | 20 | 9 | 4 | 71-25 | 49 |
| ლა კორუნია | 33 | 16 | 11 | 6 | 49-28 | 43 |
| ბეტისი | 33 | 13 | 14 | 6 | 40-20 | 40 |
| სარაგოსა | 33 | 17 | 6 | 10 | 49-41 | 40 |
| ბარსელონა | 33 | 15 | 9 | 9 | 52-42 | 39 |
| სევილია | 33 | 14 | 10 | 9 | 45-34 | 38 |
| ესპანიოლი | 33 | 12 | 13 | 8 | 42-31 | 37 |
| ატლეტიკი | 33 | 13 | 10 | 10 | 34-33 | 36 |
| ოვიედო | 33 | 11 | 13 | 9 | 41-36 | 35 |
| ვალენსია | 33 | 12 | 10 | 11 | 46-38 | 34 |
| ტენერიფე | 33 | 12 | 8 | 13 | 50-49 | 32 |
| სოსიედადი | 33 | 9 | 13 | 11 | 48-42 | 31 |
| სელტა | 33 | 9 | 13 | 11 | 29-41 | 31 |
| კომპოსტელა | 33 | 9 | 12 | 12 | 36-42 | 30 |
| ატლეტიკო | 33 | 11 | 7 | 15 | 48-49 | 29 |
| რასინგი | 33 | 10 | 8 | 15 | 36-45 | 28 |
| ალბასეტე | 33 | 7 | 14 | 12 | 37-51 | 28 |
| სპორტინგი | 33 | 7 | 12 | 14 | 39-58 | 26 |
| ვალიადოლიდი | 33 | 6 | 9 | 18 | 20-58 | 21 |
| ლოგრონიესი | 33 | 2 | 9 | 22 | 13-63 | 13 |

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ რვათვიანი დისკვალიფიკაცია დაუნიშნა მადრიდის „ატლეტიკოს“ შერეკილ პრეზიდენტ ხესუს ხილი-ხილს. ამ ხნის მანძილზე ხილი-ხილს არათუ კლუბთან მუშაობა, არამედ სტადიონზე მისვლაც კი აეკრძალება. მიზეზი ყოფილა ის, რომ შარშან ნოემბერში უკმაყოფილო პრეზიდენტს ესპანელ მსაჯებზე საჯაროდ უთქვამს, ყველა ეგენი მძარცველები არიანო.

ინგლისში, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ერთბაშად ორი ფეხბურთელი დაკარგა: ერთია რუმინელი პოპესკუ, მეორე კი — გერმანელი კლინსმანი. იურგენს ამ სეზონში 29 ბურთი გაუტანია, მაგრამ ხუთშაბათს გამართულ პრეს-კონფერენციაზე ულიარებია, აპიერიდან მიუნხენში დავსახლდები და იქაურ „ბაიერნთან“ სამწლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელს, რომლის ამოწურვის შემდეგაც კლუბი ალბათ დამეხმარება ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნაშიო. იმავე სალა- [illegible]

ბერში მისულა მეზობელი „ქუინზ პარკიდან“.

პორტუგალიაში „პორტუ“ ვადამდე კი გახდა ჩემპიონი, მაგრამ თასის ნახევარფინალში 0:1 დამარცხდა ფუნშალის „მარიტიმუსთან“. ფინალში, რომელიც 10 ივნისს ლისაბონში გაიმართება, კუნძულ მადეირას კლუბი ეთამაშება დედაქალაქის „სპორტინგს“, რომელსაც სეტუბალის „ვიტორია“ 3:0 დაუმარცხებია.

შოტლანდიაში სასამართლომ „გლაზგო რეინჯერზის“ ყოფილი და ინგლისის „ევერტონის“ ამჟამინდელი წევრი დანკან ფერგიუსონი დამნაშავედ სცნო და პატიმრობაც მიუსაჯა. ფეხბურთელს „რეის როვერსის“ მოთამაშე ჯონ მაკსტეიზე მოძალადეობრივი თავდასხმა დაბრალდა. ამ დარღვევისათვის ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ფერგიუსონს თავის დროზე 12-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, მაგრამ ფეხბურთელმა სამჯერ იჩივლა და სასამართლოს საქმის გარჩევა ამდენჯერაც გადაადებინა, რითაც ინგლისის თასის ფინალში, 20 [illegible]

### ფეხბურთის რუკასთან



ირლანდიელი ვარსკვლავის — როი კინის საქმის მოსმენაც გადადებულია, რისი წყალობითაც არც ის გამოაკლდება ამ დიდ მატჩს.

ჰოლანდიის ჩემპიონატის 25-ედ მოსაგებად ამსტერდამის „აიაქსს“ კვირას შინ, „ვოლენდამთან“ ფრეც ყოფნიდა, მაგრამ 4:1 მოიგო იმისდა მიუხედავად, რომ ფრანკ რაიკაარდი არც უთამაშებია. ეს ფეხბურთელი თურმე მოკეთდება 24 მაისისთვის, როცა ჩემპიონთა თასის ფინალი უნდა გაიმართოს. „აიაქსი“ 32 ტურია, წაუგებლად ასპარეზობს. რაც შეეხება „ეინდჰოვენს“, მასში „ინტერიდან“ ოთხი წლით [illegible]

ლდო, ვისაც „ეინდჰოვენთან“ კონტრაქტი 1997 წელს უმთავრდება.

დანიელი ფლემინგ პოლსენი 28 წლისაა, მაგრამ მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო თავს ანებებს ფეხბურთს. იგი ამჟამად დორტმუნდის „ბორუსიაში“ თამაშობს.

ესპანელი ემილიო ბუტრაგენიო 12 წელი კი ემსახურა მადრიდის „რეალს“, მაგრამ ახლა პენსიაზე უშვებენ, რის გამოც საფეხბურთო კურორტზე — იაპონიის „ჯეი-ლიგაში“ აპირებს გადასვლას.

საფრანგეთში სათასო დუბლი განახორციელა „პარი სენ ჟერმენმა“, ვინაც შაბათს, „პარკ დე პრენსზე“, ქვეყნის თასის გათამაშების 77-ე ფინალი 1:0 მოუგო „სტრასბურს“. მანამდე პარიზელებმა ლიგის თასზეც გაიმარჯვეს. ჩემპიონიც თითქმის ცნობილია: „ნანტის“ მდევარმა „ლიონმა“ პარასკევს სტუმრად 1:2 წააგო „მეცთან“, ლიდერს კი უახლოესი თამაში ამ პარასკევს აქვს „ბასტიასთან“ და ჩემპიონობისათვის ფრეც ყოფნის.

აფრიკის ჩემპიონატის საგაისო მასპინძლად [illegible]

ნძელმა დოქტორ კუმალომ გახსნა მე-19 წუთზე, მე-80 წუთზე კი მარსელო გალარდომ პენალტით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

შოტლანდიის პირველობის უმაღლესი ჯგუფიდან პირველად 1960 წლის შემდეგ გავარდა „დანდი იუნაიტედი“, რომელმაც შარშან ქვეყნის თასიც კი მოიგო. ბოლო ტურში, შაბათს რომ გაიმართა, ამ კლუბმა შინ 0:1 წააგო „სელტიკთან“, „აბერდინმა“ კი სტუმრად 2:0 მოუგო „ფოლკირკს“, ბოლოსწინა, IX ადგილზე დამკვიდრდა და ახლა დასარჩენად უნდა შეეჭიდოს პირველი ჯგუფის მეორე გუნდს — „დანფერმლინ ათლეტიკს“. ამან ბურთების სხვაობით აჯობა შარშან გავარდნილ „დანდის“, პირველი ჯგუფის ჩემპიონი კი ვადამდე გახდა „რეის როვერსი“, რომელიც უმაღლეს ჯგუფში გადასვლის გარდა უეფას თასზეც იასპარეზებს, ვინაიდან ამ სეზონში უკვე მოიგო ლიგის თასი.

თურქეთის ჩემპიონატში „ტრაბზონმა“ სტუმრად „გენჩლერბირლიგი“ 2:1 დამარცხა და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. [illegible]

# გერმანია

## «დინამო» «კაპუტ»!

XXX ტური. 12-14 მაისი. სიცხადე ვერც გასულმა უქმეებმა შეიტანა: ორივე ლიდერმა მოიგო და ჩემპიონობის საკითხი, ალბათ, გერმანიისთვის ტრადიციულად, ბოლო ტურებში გაირკვევა. სამაგიეროდ, ბუნდესლიგის ერთადერთი ალმოსავლელი ნევრი, დრეზდენის „დინამო", ფაქტიურად, უკვე გამოეთხოვა მაღალ საზოგადოებას — დარჩენილ ოთხ ტურში ამან ქულა არ უნდა დაკარგოს, ურდინგენის „ბაიერმა" კი მონაგარს ვერაფერი მიუმატოს, რომ ექს-გედეერელი გრანდი ლიგაში დარჩეს, თუმცა, ყოფილი სოციალისტური ქვეყანა მომავალ წელს, ალბათ, მაინც წარმოდგენილი იქნება ლიგაში, ვინაიდან მეორე ბუნდესლიგაში სამი ალსაზევებელი ადგილისთვის ბრძოლაში როსტოკის „ჰანზა" ლიდერობს.

### შტუტგარტი 1:4 ვერდერი

თავსხმა წვიმაში სტუმრებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ჩემპიონობისკენ, თუმცა 38-ე წუთამდე „შტუტგარტი" ნულოვან ანგარიშს ინარჩუნებდა. ამაში მასპინძლებს მსაჯიც მიეხმარა — მეოცე წუთზე, როცა ბერთოლდმა თავის საჯარიმოში ბასლერი წააქცია, თვალი დახუჭა და აშკარა პენალტი არ დანიშნა. ბასლერს დიდი ხანი არ უწუწუნია: ჯერ ჰობშს მარჯვნიდან ჩააწოდა და პირველი გოლი გაატანინა, ტაიმის ბოლო წუთზე კი ბოდე გაიყვანა პირისპირ და ამანაც სხვაობა გაზარდა. ამ ორ გოლს შორის მასპინძლებს ჰქონდათ გათანაბრების შანსი, მაგრამ აქსელ კრუზის ზუსტ დარტყმას მოედანზე არსებულმა ერთ-ერთმა გუბემ შეუცვალა მიმართულება და ბურთიც ძელს მოხვდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი სტუმრებმა მესამე გოლი გაიტანეს და ნერვებიც დაიწყნარეს — 49-ე წუთზე ჰობშმა ამჯერად ანდრეას ჰერცოგის პასი და მასპინძელთა გამოცდილი მეკარის აიკე იმელის შეცდომა გამოიყენა. შვიდ წუთში „შტუტგარტის" 22 წლის მცველმა თომას შნაიდერმა ოლივერ რეკს ფეხებში გაუძვრინა ბურთი და ანგარიში შეამცირა, მაგრამ აქ ოტო რეჰაგელმა მოედანზე რუსი ბესჩასტნიხი შემოუშვა და ამანაც, ტრადიციულად, ბდღვირი ადინა შტუტგარტელ მცველებს, დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი ჩინებული პასით ჰერცოგი და ბასლერი ერთი მცველის წინაალმდეგ დატოვა და ავსტრიელმაც გოლის გატანა „სუპერ-მარიოს" გადაულოცა. გამანადგურებელი ანგარიშის მიუხედავად, ბოლო წუთი „ვერდერისთვის" მაინც უსიამოვნო გამოდგა — „შტუტგარტის" ბრაზილიელმა ელბერმა სა[illegible]ლი ნაიმის პარიზში ლარტყმული [illegible]ჯა და თავადაც მოინდომა — რეკმა სამერისგან განსხვავებით ბურთს კი მიუსწრო, მაგრამ ცუდად დაეცა და მოედანი საკაცით დატოვა.

### დორტმუნდი 3:1 ბოხუმი

ერთ დროს ჩემპიონატის უდავო ფავორიტი, ეტყობა, წინა ტურში ბრემენში წაგებამ კალაპოტიდან ამოაგდო და შაბათს შინ ძლივს მოუგო მაჩანჩალა „ბოხუმს". პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა, მეორეს კი მასპინძლები ათი კაცით იწყებდნენ: მათი მცველი კნუტ რაინჰარდტი მსაჯმა უხეში თამაშისთვის ჯერ მეცხრე წუთზე გააფრთხილა, 30-ეზე კი გააძევა, თუმცა არბიტრს არაობიექტურობას ვერავინ დასწამებს — რაინჰარდტს მეორე ტაიმში ორი სტუმარი დაადევნა. პირველი, ჰოლანდიელი რობ რიკერსი „ბოხუმის" მწვრთნელებმა გაფრთხილებისთანავე გამოცვალეს, მაგრამ გვერდითი მსაჯის მოთხოვნით (ალბათ გასვლისას შეაგინა) უკვე სათადარიგო სკამზე მჯდომ ჰოლანდიელს არბიტრმა მეორე ყვითელი და ავტომატურად წითელი ბარათიც უჩვენა. ამ დროისთვის ანგარიში 2:1 იყო. 54-ე წუთზე ტანკომ რიკენი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ ეს წააქციეს და მიხაელ ცორკმა პენალტით გახსნა ანგარიში, სამ წუთში კი მეტოქის მცველის კარგი პასით ანდრეას მიოლერმა ისარგებლა. შვიდ წუთში კიდევ ერთი გოლი გავიდა, ამჯერად კლოსის კარში — ფრონცეკმა თავზე დაასვა ბურთი უვე ვეგმანს. აქ სტუმრებმა ზემოხსენებული რიკერსი მოისაკლისეს და აკი 81-ე წუთზე მიოლერის პასით როიტერმა მესამე გოლი გაიტანა. ის გვერდითი მსაჯი კი მეორე ბოხუმელმა, სვენ კრისტიანსმაც გამოლანძღა და 85-ე წუთზე ესეც გააძევეს.

### კარლსრუე 2:4 ლევერკუზენი

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ — მე-19 წუთზე ჰესლერის პასი ედგარ შმიტმა გამოიყენა. არადა, მანამდე „კარლსრუე" ნაღდ გოლს გადაურჩა: ლენჰოფის დარტყმა ერთ-ერთ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და მაშინ, როცა კირსტენი უკვე ხარობდა, გოლიათ, მეკარემ ხედ ხაზზე ბურთი გააჩერა. ულფ კირსტენს ეს ერთ მომენტი კი ჩაუფლავდა, მაგრამ მერე ალარაფერი გასცუდებია და ჰეთ-თრიქიც შეასრულა: 28-ე წუთზე პაულო სერჟიოს პასით ანგარიში გაათანაბრა, 49-ეზე თავისი გუნდის მესამე გოლი გაიტანა, ბოლოსწინა წუთზე კი, როცა სხვაობა კვლავ მინიმალური იყო, საბოლოო წერტილიც დასვა. პირველად კი სტუმრები რუდი ფიოლერმა დააწინაურა 43-ე წუთზე, როცა ტომის მოწოდებული კუთხურისას ჩინებულად ითამაშა და მცველთა ჯგროში მოქცეულმა ბურთს კარის გზა მაინც მოუძებნა. კარლსრუელმა შმიტმა 64-ე წუთზე ქულის გადარჩენის იმედი ჩაუსახა მასპინძლებს, მაგრამ 12 წუთში მსაჯმა მათ იენს ნოვოტნი გაუძევა და ნაკლულ მეტოქეს კირსტენმა კიდევ ერთხელ „ასიამოვნა".

### კიოლნი 0:3 დუისბურგი

ამ სეზონში „დუისბურგს" საერთოდ არ მოუგია სტუმრად, შაბათს კი „კიოლნი" ისე გააბრუა, დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა, თუმცა ბუნდესლიგაში დარჩენა მისთვის მაინც სათუოა. მასპინძლებს ასე უსუსურად კარგა ხანია არ უთამაშიათ. მარტო ის რად ღირს, რომ მთელი მატჩის მანძილზე მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმის შუაწელს შეიქმნა ხიფათი აუტსაიდერის კართან და ისიც ბრუნო ლაბადიამ ვერ გამოიყენა. სტუმრებიდან რუსი იგორ შალიმოვი გამოირჩეოდა. მისი პასით მეორე ლეგიონერმა, ჰოლანდიელმა მცველმა ალფრედ ნიიჰუსმა მე-19 წუთზე პირველი გოლი შეაგდო, მეორე ტაიმის მესამე წუთზე კი კვლა მცველმა, ამჯერად იოახიმ ჰოპმა გამოიჩინა თავი. მესამე გოლი ილგნერის კარში დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გავიდა — თანაგუნდელის დარტყმა პენალტის ნიშნულიდან მდგარ ლიობეს მოხვდა, ესეც არ დაიბნა და ბურთი იქით გაუშვა, საითაც მისი მეგობარი აზზაკალდა. სტუმრები კიდევ უფრო დიდი ანგარიშით მოიგებდნენ, მაგრამ მასპინძელთა შავკანიანმა პაბლო ტიამმა ილგნერს უშველა და კარის ხაზიდან ბურთი გამოიტანა.

### მიუნხენ 1860 1:1 ჰამბურგი

სეზონის ბოლოს მიუნხენელები ღირსეულად ათამაშდნენ და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, ამ მატჩშიც გაიმარჯვებდნენ. თავიდანვე სტევიჩმა და ნოვაკმა ისეთი ორომტრიალი გააჩაღეს სტუმართა საჯარიმოში, შემყურეს თავბრუ დაგეხვეოდა, მაგრამ ბურთი ხან მეკარეს ხვდებოდა, ხან მცველს და ხან ძელს. 38-ე წუთზე ოლაფ ბოდენის თაური დარტყმაც ძელს მოხვდა, მაგრამ აქედან კარებში შევარდა და ანგარიშიც გაიხსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში ნოვაკმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა 36 წლის ექს-რაპიდელი ავსტრიელი პეტერ პაკულტი, მაგრამ ამან უდიდესი გამოცდილება ვერ გამოიყენა და ბურთი მეკარეს გაარტყა, იმისგან ასხლეტილი ისევ პაკულტმა დაარტყა, თუმცა ამჯერად მცველი ჩაწვა მატროსოვივით. მალე თავად ნოვაკმაც მსგავსი ჩაიდინა და სასჯელმაც არ დაიგვიანა — დამთავრებამდე 12 წუთით ადრე ანდრე ბრაიტენრაიტერმა შეტევა საპასუხო გოლით დაამთავრა.

### ურდინგენი 3:1 დინამო

სტუმრებმა ერთი პირობა კი გაათანაბრეს 20 წლის მარკუს ფელდჰოფის მიერ გახსნილი ანგარიში, მაგრამ ჩეხმა გიუნტერ ბიტენგელმა 55-ე წუთზე და პასლაკმა 87-ეზე საწყალ ჩერჩესოვს კიდევ ორი გაუტანეს. ეს „დინამოსთვის" დაღუპვის ტოლფასი იყო. პოლონელი ლესიაკი, ვისაც ყველაზე მეტად აეშალა ნერვები, მსაჯმა ბოლო წუთზე წითელი ბარათით დააწყნარა.

### აინტრახტი 1:2 ფრაიბურგი

კვლავ ჩინებულად ითამაშა სტუმართა 27 წლის არგენტინელმა როდოლფო კარდოსამ. მისი პირველივე დარტყმა კეპკემ გაჭირვებით მოიგერია. აი, მასპინძელთა პირველივე შეტევა კი გოლით დამთავრდა: მეხუთე წუთზე „აინტრახტის" შვიდკაცა კომბინაციას სლობოდან კომლიენოვიჩმა ზუსტი დასასრული მოუნახა, მაგრამ ცხრა წუთში კარდოსმა ისევ ჩინებულად დაარტყა და ამჯერად კეპკე უსაქმოდ დატოვა. აქ ფრანკფურტელმა ლეგატმა ტრავმა მიიღო და შემცვლელი მოითხოვა, თუმცა წამყვანი ფეხბურთელი მალე „ფრაიბურგმაც" მოისაკლისა — ცხადაძემ უვე ვასმერს ისე ჩაარტყა, ეს საკაცით გასასვენებელი გახდა. თამაშის ბედი 52-ე წუთზე გადაწყდა: მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს კეპკე დაეუფლა, თუმცა იქვე გაუვარდა და მართალია, კარის ხაზზე გაწვა და ბურთი კვლავ ხელში ჩაიგდო, მსაჯის შავარდნულ მზერას არაფერი გამოჰპარვია და გოლი ჩათვალა. ეროვნული ნაკრების მეკარისგან განსხვავებით, სტუმართა მეკარეს თამაშის დამთავრებამდე შეცდომა არ მოსვლია, ანიჩიჩის, ბინცის და კომლიენოვიჩის შეტევებს გაუძლო და თავის გუნდს სეზონში მერვე სასტუმრო გამარჯვება მოუტანა. „ფრაიბურგი" ახლა უეფას თასზე გამოსვლის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია, თუმცა ბუნდესლიგის და ამ გუნდის ტრადიციებს თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, საერთოდ ვერ მოხვდეს ევროთასებზე ან პირიქით, ჩემპიონთა ლიგაშიც კი ამოჰყოს თავი.

### კაიზერსლაუტ. 2:2 გლადბახი

მოგების შემთხვევაში მასპინძლები ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ გლადბახელებმა, ისევე როგორც ქვეყნის თასის ნახევარფინალში, ამჯერადაც ღირსეულად ითამაშეს. თამაში ტურში ყველაზე საინტერესო გამოდგა. პირველ ტაიმში „კაიზერის" უპირატესობა უდიდესი იყო: დასაწყისშივე კუკამ და მარშალმა ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტები, სტუმართა პირველივე კონტრშეტევა კი გოლით დამთავრდა: 21-ე წუთზე 24 წლის ტოგოელმა ბაჰირუ სალუმ მარჯვნიდან ჩააწოდა და ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ჰაიკო ჰერლიხმა ანგარიში გახსნა. აქედან მოყოლებული ტაიმის ბოლომდე „კაიზერსლაუტერნი" მეტოქის კარს ალარ მოსცილებია. ბრემეს ორი უძლიერესი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მარჯვენა მცველმა მარკო ჰაბერმა კი მთლად აიკლო თავისი ფრთა. ბოლოსდაბოლოს, ანგარიში გათანაბრდა — 34-ე წუთზე კადლეცის პასს ოლაფ მარშალი მიწვდა და თაურით გოლი გაიტანა. მეორე ტაიმის მე-19 წუთზე კი მეორე ჩეხი, კუკა გახდა გოლის თანაავტორი — ბურთი შვეიცარიელ სფორცას დაუგორა და ამის უძლიერესი და ულამაზესი დარტყმა ძელს მოხვდა და კარებში ისე შევარდა, მაგრამ ორი ქულის აღება მასპინძლებმა მაინც ვერ მოახერხეს. სამ წუთში თაურით ჰოლგერ ფახმა ქულა მოუტანა თასის ფინალისტს.

### შალკე 0:3 ბაიერნი

კვირას კრისტიან ციგემ, მეჰმეთ შოლმა და ალექსანდერ ციკლერმა „შალკეს" ამ სეზონში პირველად შინ დიდი ანგარიშით წააგებინეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 30 | 18 | 8 | 4 | 59-30 | 44 |
| დორტმუნდი | 30 | 18 | 7 | 5 | 60-29 | 43 |
| ფრაიბურგი | 30 | 18 | 5 | 7 | 62-41 | 41 |
| კაიზერსლაუტ. | 30 | 14 | 12 | 4 | 46-35 | 40 |
| ბაიერნი | 30 | 13 | 13 | 4 | 51-37 | 39 |
| გლადბახი | 30 | 15 | 8 | 7 | 58-36 | 38 |
| ლევერკუზენი | 30 | 12 | 8 | 10 | 55-44 | 32 |
| კარლსრუე | 30 | 9 | 13 | 8 | 42-40 | 31 |
| კიოლნი | 30 | 10 | 9 | 11 | 45-46 | 29 |
| შალკე | 30 | 9 | 11 | 10 | 41-43 | 29 |
| აინტრახტი | 30 | 10 | 9 | 11 | 33-42 | 29 |
| ჰამბურგი | 30 | 9 | 9 | 12 | 39-39 | 27 |
| შტუტგარტი | 30 | 8 | 10 | 12 | 47-58 | 26 |
| ტსვ მიუნხენი | 30 | 6 | 11 | 13 | 35-50 | 23 |
| ურდინგენი | 30 | 5 | 11 | 14 | 31-42 | 21 |
| დუისბურგი | 30 | 5 | 8 | 17 | 24-52 | 18 |
| ბოხუმი | 30 | 7 | 3 | 20 | 31-62 | 17 |
| დინამო | 30 | 3 | 7 | 20 | 26-59 | 13 |



„ჰეთ-თრიქის" ავტორი ულფ კირსტენი

# ინგლისი

პირველობის ბოლო ტური. 13 მაისი: უიმბლდონი — ნოტინგემი 2:2. 14 მაისი: ჩელსი — არსენალი 2:1, ქოვენთრი — ევერტონი 0:0, ლივერპული — ბლექბერნი 2:1, მანჩესტერ სიტი — ქუინზ პარკი 2:3, ნიუკასლი — კრისტალ პალასი 3:2, ნორვიჩი — ასტონ ვილა 1:1, შეფილდ უენზდეი — იფსვიჩი 4:1, საუთჰემპტონი — ლესტერი 2:2, ტოტენჰემი — ლიდსი 1:1, ვესტ ჰემი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1

ფლეი-ოფი პირველობაზე მოსახვედრად. ნახევარფინალი. პირველი წრე. 14 მაისი: ტრანმეარი — რადინგი 1:3, ვულვერჰემპტონი — ბოლტონი 2:1

## ბოლოდღისეული დრამა

ჩემპიონი ბოლო ტურში რომ უნდა გამოვლენილიყო, დიდად ახარებდა ტელევიზიას, ვისი მოთხოვნითაც ყველა თამაში, ერთის გამოკლებით, კვირა სალამოსთვის გადაიდო. ამგვარ ფინიშს ინგლისელები კარგა ხანია ელოდნენ: წინა ჯერზე 1989 წელს მომხდარა, ქვეყნის უპირველესი გუნდი ბოლო თამაშმა რომ გაარკვია — მაშინ „არსენალმა" ტიტული წაჰგლიჯა „ლივერპულს".

ახლა ვითარება ისეთი იყო, რომ მდევარს — წინა ორი წლის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს", თუკი ჩემპიონობის შენარჩუნება სურდა, სტუმრად უსიკვდილოდ უნდა მოეგო „ვესტ ჰემისთვის", ვისაც შუა კვირაშივე დაებევებინა საგაისო ადგილი პირველობაზე. თუ „იუნაიტედი" გაიმარჯვებდა, ლიდერს — „ბლექბერნს" სტუმრად, „ლივერპულთან" მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, ვინაიდან მანჩესტერის გუნდი ქულებით რომ დასწეოდა, ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე გავიდოდა.

ლონდონის „აპტონ პარკზე" და ლივერპულის „ენფილდზე" თამაშები ერთდროულად კი დაიწყო, მაგრამ შეფერხების გამო სინქრონიზაცია მალევე დაირღვა. დაირღვა სტატუს-ქვოც: მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ სიტის" გარემარბყოფილმა მაიკლ ჰიუზმა მონკლერის მიერ კიდიდან შემოგდებულ ბურთს „იუნაიტედის" ბადეში მიუჩინა ადგილი. ცოტა ხნის შემდეგ „ბლექბერნის" შანსები ერთი-ორად გაიზარდა: მანჩესტერელმა კოულმა ძელს მოახვედრა ბურთი, რიპლის ჩაწოდების შემდეგ კი ალან შირერმა სეზონის 37-ე გოლით „ბლექბერნი" დააწინაურა. თამაშები ასე რომ დამთავრებულიყო, „როვერსი" ქულით გაუსწრებდა „იუნაიტედს".

მერე და მერე ახალმა ლიდერებმა ველარ ივარგეს, რაკილა ბურთის დინჯ გორებას მიეძალნენ და ვერც ნორჩ ლივერპულელ მაკმანამანს მოუხერხეს რამე. ამასობაში „იუნაიტედმაც" გაათანაბრა ანგარიში: ნევილის დარტყმულ საჯარიმოს ბრაიან მაკლეირმა თავით შეუცვალა მიმართულება, მალე კი „ლივერპულიც" წამოეწია „ბლექბერნს" — კენედის მიერ მარცხენა ფრთაზე წამოწყებული იერიში გოლით დაასრულა ჯონ ბარნსმა. სტატუს-ქვო — ორქულიანი სხვაობა აღდგა და ყველაფერი თავიდან დასაწყები შეიქნა.

„ბლექბერნი" უტევდა. დასკვნით ათ წუთში შირერსა და სათონს შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ამაოდ. ლიდერს ვერაფრით გაჰქონდა ბურთი, მდევარს კი ერთიც რომ შეეგდო ლონდონში, გაუსწრებდა და ჩემპიონობას შეინარჩუნებდა. კინაღამ ასეც მოხდა: 88-ე წუთზე 7 მილიონ გირვანქად ნაყიდი ზანგი ენდი კოული „ვესტ ჰემის" ჩეხ მეკარე ლიუდეკ მიკლოშკოსთან პირისპირ გავიდა, მაგრამ წაქცეულს ბურთი ფეხებში მოახვედრა. ამის მერე მავანმა შავ-ბნელმა ძალებმა სტადიონზე გამოაცხადებინეს, ლივერპულში „ბლექბერნი" იგებსო, მაგრამ მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი, ლამის იყო, მოედანზე შეიჭრა და თავის ბიჭებს დაუცაცხანა, იქ რა ხდება, თქვენი საქმე არაა — ბოლომდე ითამაშეთო.

არადა, „ბლექბერნი" ამ დროს ალარათუ იგებდა, კიდევაც აგებდა: 93-ე (!) წუთზე ფაულერი სახიფათოდ შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, 94-ე წუთზე კი ჯემი რედნაპმა 22 მეტრიდან საჯარიმოთი წინ გაიყვანა „ლივერპული" 2:1. ამაზე „ბლექბერნის" ქომაგები მთლად გადაირივნენ, მაგრამ უმალ გახარებულები აბლავლდნენ, ვინაიდან შეიტყვეს, რომ ლონდონში თამაში ფრედ დასრულებულა.

მოკლედ, გათამაშდა დრამა. „იუნაიტედმა", ვისაც ჩემპიონობა სწყუროდა, ვერ მოუგო მეტოქეს, ვისაც მოგება, წესითა და რიგით, ალარაფრად სჭირდებოდა. „ბლექბერნმა", ვინც მოგებით ტიტულს დაიბევებდა, ბოლოს და ბოლოს კიდეც წააგო თავისი მწვრთნელის — შოტლანდიელი კენი დალგლიშის ძველ კლუბთან, საიდანაც ეს კაცი ამ ოთხი წლის წინ წამოსულა, რაკილა ფსიქოლოგიური დატვირთვისთვის ველარ გაუძლია. ერთი სიტყვით, ლანკაშირული კლუბი 81-წლიანი შესვენების შემდეგ წაგებით გაჩემპიონდა და ამაში მას მავანი აუტსაიდერი შეეწია. საგულისხმოა, რომ ზუსტად ათი წლის წინ „ბლექბერნს" ბოლო ტურში „გრიმზბისთან" უომია და მესამე დივიზიონიდან ალარ გავარდნილა.

ამავე დღეს გავარდნის საქმეებიც ირჩეოდა. მეოთხე ხელმოცარულად გახდომის შანსი რჩებოდათ ლონდონის „კრისტალ პალასს", რომელიც წინა სეზონში პირველ დივიზიონში ასპარეზობდა, აგრეთვე ბირმინგემის „ასტონ ვილასა" და „შეფილდ უენზდეის", ოღონდაც ამათ ამ უსიამოვნებისთვის თავის დასაღწევად ფრეც ყოფნიდათ. შეფილდის გუნდმა ერთი ქულა არ იკმარა და გავარდნილი „იფსვიჩი" დაანგრია, „ვილა" ფრეს დასჯერდა ასევე გავარდნილ „ნორვიჩთან", მაგრამ ეს ქულა ალარაფერში დასჭირდა, ვინაიდან „კრისტალ პალასს" მაგრად დაუხვდა „ნიუკასლი": ფოქსის, ლისა და გილესპის გოლებით ერთი პირობა 3:0-საც კი უგებდა. მერე არმსტრონგმა და ჰავთორნმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს, მაგრამ რალა დროს... „პალასი" ე.წ. „ენდლსი ენშუარენსის" ლიგის პირველ დივიზიონში (ჯგუფში) გადაყვა „ნორვიჩს", „იფსვიჩსა" და „ლესტერს", იქიდან ფეხბურთის ასოციაციისა და „კარლინგის" პირველობაზე პირდაპირ შემოვიდა გამარჯვებული „მიდლსბორო", საგაისო პირველობის ბოლო, მე-20 მონაწილის გამოსავლენად კი დაიწყო ლიგაში მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულთა პლეი-ოფი, რომლის ფინალიც „უემბლიზე" გაიმართება. საგულისხმოა, რომ ამ პლეი-ოფში მონაწილეობს ერთბაშად ორი „ვონდერერზი" (სამკვიდრომოკლებული, უსახლკარო, ხეტიალა) — ვულვერჰემპტონისა და ბოლტონისა, და ერთი „როვერსი" (მეკობრე) — ტრანმეარისა, რომლის წარმატების შემთხვევაშიც პირველობა „მეკობრეებით" აივსება „ბლექბერნიც" [illegible]

დავით მჭედლიშვილი


ჩემპიონთა მწვრთნელი კენი დალგლიში

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბლექბერნი | 42 | 27 | 8 | 7 | 80-39 | 89 |
| მანჩესტერ იუნ. | 42 | 26 | 10 | 6 | 77-28 | 88 |
| ნოტინგემი | 42 | 22 | 11 | 9 | 72-43 | 77 |
| ლივერპული | 42 | 21 | 11 | 10 | 65-37 | 74 |
| ლიდსი | 42 | 20 | 13 | 9 | 59-38 | 73 |
| ნიუკასლი | 42 | 20 | 12 | 10 | 67-47 | 72 |
| ტოტენჰემი | 42 | 16 | 14 | 12 | 66-58 | 62 |
| ქუინზ პარკი | 42 | 17 | 9 | 16 | 61-59 | 60 |
| უიმბლდონი | 42 | 15 | 11 | 16 | 48-65 | 56 |
| საუთჰემპტონი | 42 | 12 | 18 | 12 | 61-63 | 54 |
| ჩელსი | 42 | 13 | 15 | 14 | 50-55 | 54 |
| არსენალი | 42 | 13 | 12 | 17 | 52-49 | 51 |
| შეფილდ უენსდ. | 42 | 13 | 12 | 17 | 49-57 | 51 |
| ვესტ ჰემი | 42 | 13 | 11 | 18 | 44-48 | 50 |
| ევერტონი | 42 | 11 | 17 | 14 | 44-51 | 50 |
| ქოვენთრი | 42 | 12 | 14 | 16 | 44-62 | 50 |
| მანჩესტერ სიტი | 42 | 12 | 13 | 17 | 53-64 | 49 |
| ასტონ ვილა | 42 | 11 | 15 | 16 | 51-56 | 48 |
| კრისტალ პალასი | 42 | 11 | 12 | 19 | 34-49 | 45 |
| ნორვიჩი | 42 | 10 | 13 | 19 | 37-54 | 43 |
| ლესტერი | 42 | 6 | 11 | 25 | 45-80 | 29 |
| იფსვიჩი | 42 | 7 | 6 | 29 | 36-93 | 27 |

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად

### იტალია. 32-ე ტური. 18, 21 მაისი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.05 | NAPOLI - | MILAN | 2,5 | 2,3 | 2,2 | 1-1 | 1-0/1-2 | 1-2/2-2 |
| | a 2-1 Brescia | h 1-0 Roma | | | | | | |
| | h 1-3 Inter | h 3-0 Foggia | | | | | | |
| 21.05 | BARI - | ROMA | 2,3 | 2,4 | 2,3 | 0-2 | -/- | -/- |
| | a 0-1 Parma | a 0-1 Milan | | | | | | |
| | h 3-1 Torino | h 2-0 Fiorentina | | | | | | |
| | CREMONESE - | PADOVA | 1,4 | 2,7 | 4,7 | 2-3 | -/- | -/- |
| | a 1-1 Torino | h 3-0 Reggiana | | | | | | |
| | h 2-1 Reggiana | a 0-2 Cagliari | | | | | | |
| | FIORENTINA - | TORINO | 1,5 | 2,5 | 4,4 | 0-1 | -/- | 0-0/1-1 |
| | a 1-2 Foggia | h 1-1 Cremonese | | | | | | |
| | a 0-2 Roma | a 1-3 Bari | | | | | | |
| | GENOA - | FOGGIA | 1,5 | 3,0 | 3,4 | 1-2 | 1-4/0-3 | 0-0/2-2 |
| | h 0-4 Juventus | h 2-1 Fiorentina | | | | | | |
| | a 0-0 Parma | a 0-3 Milan | | | | | | |
| | INTER - | CAGLIARI | 1,3 | 2,8 | 5,6 | 1-1 | 3-3/0-1 | 3-1/0-0 |
| | a 1-4 Lazio | h 0-2 Sampdoria | | | | | | |
| | a 3-1 Napoli | h 2-0 Padova | | | | | | |
| | JUVENTUS - | PARMA | 1.5 | 2.6 | 4.2 | 3-1 | 4-0/0-2 | 2-2/1-2 |
| | a 4-0 Genoa | h 1-0 Bari | | | | | | |
| | h 0-3 Lazio | h 0-0 Genoa | | | | | | |
| | LAZIO - | SAMPDORIA | 1.3 | 2.8 | 5.6 | 1-3 | 1-1/4-3 | 2-1/3-3 |
| | h 4-1 Inter | a 2-0 Cagliari | | | | | | |
| | a 3-0 Juventus | h 2-1 Brescia | | | | | | |
| | REGGIANA - | BRESCIA | 1,5 | 2,7 | 4,0 | 0-1 | -/- | -/- |
| | a 0-3 Padova | h 1-2 Napoli | | | | | | |
| | a 1-2 Cremonese | a 1-2 Sampdoria | | | | | | |

### ესპანეთი. 34-ე ტური. 20-21 მაისი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | COMPOSTELA - | SEVILLA | 2,0 | 2,5 | 2,5 | 0-3 | -/- | -/- |
| | h 1-1 Espanol | h 0-0 Deportivo | | | | | | |
| | a 2-2 Racing | a 2-2 Espanol | | | | | | |
| | ESPANOL - | ZARAGOZA | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-1 | -/- | 2-0/1-2 |
| | a 1-1 Compostela | h 1-1 Racing | | | | | | |
| | h 2-2 Sevilla | a 3-1 Sporting | | | | | | |
| | RACING - | ATLETICO | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-0 | 2-0/0-4 | -/- |
| | a 1-1 Zaragoza | h 3-2 Sporting | | | | | | |
| | h 2-2 Compostela | a 1-3 Athletic | | | | | | |
| | SPORTING - | VALENCIA | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-0 | 2-0/0-1 | 1-0/0-2 |
| | a 2-3 Atletico | h 3-1 Athletic | | | | | | |
| | h 1-3 Zaragoza | a 0-1 Albacete | | | | | | |
| | ATHLETIC - | TENERIFE | 1,3 | 2,6 | 6,5 | 0-1 | 3-2/1-2 | 2-2/1-2 |
| | a 1-3 Valencia | h 2-2 Albacete | | | | | | |
| | h 3-1 Atletico | a 2-4 Logrones | | | | | | |
| | ALBACETE - | R. SOCIEDAD | 1,5 | 2,6 | 4,2 | 0-2 | 0-0/1-1 | 1-2/1-2 |
| | a 2-2 Tenerife | h 6-0 Logrones | | | | | | |
| | h 1-0 Valencia | a 0-0 Real | | | | | | |
| | CELTA - | DEPORTIVO | 3,0 | 2,5 | 1,8 | 2-1 | 0-0/0-0 | 0-0/0-2 |
| | a 1-1 Barcelona | a 0-0 Sevilla | | | | | | |
| | h 1-0 Valladolid | h 1-0 Barcelona | | | | | | |
| | LOGRONES - | OVIEDO | 9,0 | 4,0 | 1,05 | 0-1 | 2-2/2-1 | 1-0/0-0 |
| | a 0-6 Sociedad | h 3-2 Real | | | | | | |
| | h 4-2 Tenerife | a 0-0 Betis | | | | | | |
| | BETIS - | BARCELONA | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-1 | -/- | -/- |
| | a 2-0 Valladolid | h 1-1 Celta | | | | | | |
| | h 0-0 Oviedo | a 0-1 Deportivo | | | | | | |
| | REAL - | VALLADOLID | 1,1 | 3,2 | 8,0 | 5-0 | 1-3/0-0 | -/- |
| | a 2-3 Oviedo | h 0-2 Betis | | | | | | |
| | h 0-0 Sociedad | a 0-1 Celta | | | | | | |

### გერმანია. 31-ე ტური. 19-21 მაისი

| | | | 1 | X | 2 | I წრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.05 | HAMBURGER - | KOLN | 1,8 | 2,5 | 3,0 | 1-1 | 2-4/0-3 | 3-0/2-2 |
| | a 1-1 Munchen 1860 | h 0-3 Duisburg | | | | | | |
| | a 1-3 B. Leverkusen | a 0-0 Borussia M | | | | | | |
| | B. LEVERKUSEN - | MUNCHEN 1860 | 1,5 | 2,7 | 4,0 | 1-1 | -/- | -/- |
| | a 4-2 Karlsruher SC | h 1-1 Hamburger SV | | | | | | |
| | h 3-1 Hamburger SV | a 1-1 Duisburg | | | | | | |
| 20.05 | DUISBURG - | KAISERSLAUTERN | 2,2 | 2,4 | 2,4 | 0-1 | 1-7/0-2 | -/- |
| | a 3-0 Koln | h 2-2 Borussia M | | | | | | |
| | h 1-1 Munchen 1860 | a 1-4 Freiburg | | | | | | |
| | BAYERN - | KARLSRUHER SC | 1,3 | 2,4 | 8,0 | 2-2 | 1-0/1-1 | 3-3/2-4 |
| | a 3-0 Schalke 04 | h 2-4 B. Leverkusen | | | | | | |
| | h 2-1 B. Uerdingen | h 2-2 Schalke 04 | | | | | | |
| | DYNAMO - | SCHALKE 04 | 3,2 | 2,8 | 1,6 | 0-4 | 1-0/0-0 | 1-0/0-2 |
| | a 1-3 B. Uerdingen | h 0-3 Bayern | | | | | | |
| | h 1-1 Stuttgart | a 2-2 Karlsruher SC | | | | | | |
| | WERDER - | B. UERDINGEN | 1,1 | 3,0 | 10,0 | 3-1 | -/- | 2-1/2-0 |
| | a 4-1 Stuttgart | h 3-1 Dynamo | | | | | | |
| | h 3-1 Borussia D | a 1-2 Bayern | | | | | | |
| | BOCHUM - | STUTTGART | 1,3 | 3,0 | 5,0 | 2-2 | -/- | 0-0/1-4 |
| | a 1-3 Borussia B | h 1-4 Werder | | | | | | |
| | h 0-1 Eintracht | a 1-1 Dynamo | | | | | | |
| | FREIBURG - | BORUSSIA D | 2,2 | 2,4 | 2,4 | 1-1 | 4-1/2-3 | -/- |
| | a 2-1 Eintracht | h 3-1 Bochum | | | | | | |
| | h 4-1 Kaiserslautern | a 1-3 Werder | | | | | | |
| 21.05 | BORUSSIA M - | EINTRACHT | 1,3 | 2,8 | 5,6 | 1-2 | 0-4/3-0 | 3-3/3-1 |
| | a 2-2 Kaiserslautern | h 1-2 Freiburg | | | | | | |
| | h 0-0 Koln | a 1-0 Bochum | | | | | | |

### ინგლისის თასის ფინალი. 20 მაისი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| MANCHESTER U - | EVERTON | 1,5 | 3,0 | 3,4 |

### თურქეთი. 34-ე ტური. 21 მაისი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| BURSASPOR - | GENCLERBIRLIGI | 1,8 | 2,5 | 3,0 |

### უეფას თასის ფინალი. 17 მაისი

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| JUVENTUS - | PARMA | 1,5 | 2,5 | 4,4 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | | 0-1 | 3-1 | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1-2 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 2-0 | 4-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 2-1 | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | | 1-4 |
| 6 | AC FOGGIA | 2-2 | 3-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | | ■ | 2-1 | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | 0-4 |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | 2-1 | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 5-1 | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | | 0-0 | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-3 | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | 3-0 | 0-0 | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | 1-0 | 4-0 | 2-1 | 2-0 | | 2-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | 0-4 | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-2 | 1-1 | |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | 0-0 | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | | 4-0 | 4-1 | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 0-2 | | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | | 3-1 | 3-0 | 0-3 | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | | 3-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | | | 0-0 | 2-2 | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 3-1 | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | 1-1 | 1-2 | 0-1 | ■ | 3-2 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 1-3 | | 1-1 | 3-0 | 1-1 | | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | 0-0 | 1-4 | | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | | 2-0 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | 0-0 | | 2-0 | 4-2 | 3-1 | | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | 3-2 | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 3-0 | | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | | 1-1 | 2-2 | 1-3 | 6-0 | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | 3-0 | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | 0-0 | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | |
| 17 | CD TENERIFE | 2-2 | | 2-1 | 1-0 | 2-0 | | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | 3-1 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | 0-0 | | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | 3-1 | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | [illegible] |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | | 1-1 | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | 1-1 | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | | ■ | 1-2 | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-0 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 4-1 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | | ■ | 0-0 | | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | 2-4 | 2-4 | 2-2 | 3-1 | 2-2 | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | 0-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | | | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | 0-0 | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | 1-1 | | 1-0 | | 1-1 | 2-0 | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | 0-3 | 6-2 | ■ | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | 1-4 | 0-0 | 4-2 | | 4-1 | | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | | 1-3 | 0-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 0-0 | 0-0 | 3-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 3-0 | 0-0 | 2-3 | 5-1 | 1-0 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 |
| 2 | ASTON VILLA | 0-4 | ■ | 0-1 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-0 | 4-4 | 2-0 | 1-1 | 1-2 | 0-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 0-2 | 7-1 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | 3-1 | 3-1 | ■ | 2-1 | 4-0 | 2-1 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-0 | 3-2 | 2-3 | 2-4 | 1-0 | 0-0 | 3-0 | 4-0 | 3-1 | 3-2 | 2-0 | 4-2 | 2-1 |
| 4 | FC CHELSEA | 2-1 | 1-0 | 1-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 0-3 | 4-0 | 0-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 5 | COVENTRY CITY | 0-1 | 0-1 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-0 | 2-3 | 0-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 2-0 | 1-3 | 0-4 | 2-0 | 1-1 |
| 6 | CRYSTAL PALACE | 0-3 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | ■ | 1-0 | 3-0 | 1-2 | 2-0 | 1-6 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 0-0 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 1-0 | 0-0 |
| 7 | FC EVERTON | 1-1 | 2-2 | 1-2 | 3-3 | 0-2 | 3-1 | ■ | 4-1 | 3-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-2 | 1-4 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-0 |
| 8 | IPSWICH TOWN | 0-2 | 0-1 | 1-3 | 2-2 | 2-0 | 0-2 | 0-1 | ■ | 2-0 | 4-1 | 1-3 | 1-2 | 3-2 | 0-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | 1-2 | 2-1 | 1-3 | 1-1 | 2-2 |
| 9 | LEEDS UNITED | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 4-0 | ■ | 2-1 | 0-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 1-0 | 4-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 3-1 |
| 10 | LEICESTER CITY | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 2-2 | 2-0 | 1-3 | ■ | 1-2 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 1-0 | 2-4 | 1-1 | 0-1 | 4-3 | 3-1 | 1-2 | 3-4 |
| 11 | FC LIVERPOOL | 3-0 | 3-2 | 2-1 | 3-1 | 2-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | 0-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 2-0 | 2-0 | 4-0 | 1-0 | 1-1 | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | [illegible] |
| 12 | MANCHESTER CITY | 1-2 | 2-2 | 1-3 | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 0-3 | 0-0 | 2-0 | 3-3 | 2-3 | 3-2 | 3-3 | 5-2 | 3-4 | 2-0 |
| 13 | MANCHESTER UNITED | 3-0 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 9-0 | 0-0 | 1-1 | 2-0 | 5-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-2 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 3-0 |
| 14 | NEWCASTLE UNITED | 1-0 | 3-1 | 1-1 | 4-2 | 4-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-2 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-1 | ■ | 3-0 | 2-1 | 2-1 | 2-1 | 5-1 | 3-3 | 2-0 | 2-1 |
| 15 | NORWICH CITY | 0-0 | 1-1 | 2-1 | 3-0 | 2-2 | 0-0 | 0-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-2 | 2-1 | ■ | 0-1 | 4-2 | 0-0 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-2 |
| 16 | NOTTINGHAM FOREST | 2-2 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 4-1 | 3-0 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-0 | ■ | 3-2 | 4-1 | 3-0 | 2-2 | 1-1 | 3-1 |
| 17 | QUEEN'S PARK RANGERS | 3-1 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 2-3 | 1-2 | 3-2 | 2-0 | 2-1 | 1-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | ■ | 3-2 | 2-2 | 2-1 | 2-1 | 0-1 |
| 18 | SHEFFIELD WEDNESDAY | 3-1 | 1-2 | 0-1 | 1-1 | 5-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 | 1-0 | 1-2 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 1-7 | 0-2 | ■ | 1-1 | 3-4 | 1-0 | 0-1 |
| 19 | FC SOUTHAMPTON | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 2-0 | 3-1 | 1-3 | 2-2 | 0-2 | 2-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 4-3 | 1-1 | 2-3 |
| 20 | TOTTENHAM HOTSPUR | 1-0 | 3-4 | 3-1 | 0-0 | 1-3 | 0-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 4-2 | 1-0 | 1-4 | 1-1 | 3-1 | 1-2 | ■ | 3-1 | 1-2 |
| 21 | WEST HAM UNITED | 0-2 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 0-1 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 1-1 | 1-3 | 2-2 | 3-1 | 0-0 | 0-2 | 2-0 | 1-2 | ■ | 3-0 |
| 22 | FC WIMBLEDON | 1-3 | 4-3 | 0-3 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 3-2 | 1-0 | 2-2 | 1-3 | 0-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | ■ |

როგორ არა ჰგავს ნიკოლოზ დერიუგინი ახლანდელ ქართველ სპორტსმენთა იმ ერთ ნაწილს, რომელთაც მისი მეათედიც კი არ გაუკეთებიათ, სამაგიეროდ, სადღაც უცხოეთში გამართულ რომელიღაც რეგიონალური ტურნირიდან დაბრუნებულნი ჟურნალისტებს საყვედურობენ — აეროპორტში რატომ არ დაგვხვდითო. მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიადის პრიზიორი სლოვაკეთიდან დაბრუნების მეორე დღესვე ნაკრების ვარჯიშზე მივიდა — მოედანზე პირველი შევიდა და ბოლო გამოვიდა. ინტერვიუზე მე და ჩემი „რეზონანსელი" კოლეგა რომ მივადექით, გაუხარდა, ესე იგი, ხალხს კიდევ ვახსოვარო. ისე, შეუძლებელია კოლიას დავიწყება — გარდა ჩამოთვლილი ჯილდოებისა, მას ხომ დიდი დამსახურებაც აქვს — იგი დერიუგინია,



ნიკოლოზ დერიუგინი სლოვაკეთის ჩემპიონატშიც გამორჩეული ფიგურაა

# კაცი, რომელმაც შექმნა ჩემპიონატი!

**— ამაში ნებისმიერი დამეთანხმება, ვინც თვალი ადევნა საქართველოს შარშანდელ (მისი მონაწილეობით) და წლევანდელი (უიმისოდ) ჩემპიონატებს. ამაზე „სარბიელში" არაერთხელ უთქვამთ მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და სპეციალისტებს.**

— დავილალე — თქვა კოლიამ ვარჯიშის შემდეგ — პატარა ხომ აღარა ვარ, მალე 36 წლის გავხდები. თანაც, სლოვაკეთში მძიმე სეზონი მქონდა. არა, რაც შეეხება თავს, ყველაფერი რიგზეა — გონება ჭრის და ტვინი კარგად მუშაობს. სამაგიეროდ, ორგანიზმმა გამტანჯა: ხან — ფეხი, ხან — მენისკი, ხან — მხარი, ხან — წელი... კინაღამ [illegible] შევიშალე. მაგრამ გავძელი — [illegible] მეორე ადგილი ავაღებინე და ახლა აქ ჩამოვედი.

**— [illegible]ოზულად ხომ არ დაშავებულ[illegible]?**

— [illegible]რა, მადლობა ღმერთს. კარგა ხნის წ[illegible] [illegible]ჩენა ფეხი სერიოზულად დავიშავე. მძიმე ოპერაცია გადავიტანე. იქიდან მოყოლებული, თამაშისას მთელი სიმძიმე და დატვირთვა ავტომატურად გადამქონდა მარჯვენაზე. ამან კი ცოტა მიმტყუნა — მუხლში რაღაც ჩაჭედვის მსგავსი დამემართა. დროულად მიწამლეს, სამკურნალო ტალახებით მიმკურნალეს. ეს ერთ თვეს გრძელდებოდა, ოღონდ ვარჯიშები არ შემიწყვეტია.

**— სლოვაკეთში როგორ მოხვდით?**

— შარშან ზაფხულს დამირეკა პეტერბურგელმა მწვრთნელმა ანატოლი ცედრიკმა და მითხრა, სლოვაკეთში გუნდს ვიბარებ და ხომ არ წამოხვალო. დავთანხმდი და ასე აღმოვჩნდი ქალაქ პეზინოკში, იგივე სახელწოდების გუნდში.

**— პეზინოკი რა ქალაქია?**

— ბრატისლავიდან 12 კილომეტრზეა, 20 ათასი მცხოვრებით. ლამაზი ქალაქია. ლანდშაფტი ქართული დაბებისა აქვს. სხვათა შორის, პეზინოკში მევენახეობას მისდევენ. აქვთ ვენახები. ოჯახებშიც ჩვენებურებივით უდგათ ღვინის ჭურჭლები, კასრები. სხვა მხრივ სიწყნარე, სიმშვიდე...

**— გუნდი რაღას წარმოადგენს?**

— სლოვაკეთის შარშანდელ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. შარშანწინ — ჩემპიონი იყო, ოღონდ მაშინ სხვა კლუბები მომძლავრებულები არ იყვნენ. წელს მეორე ადგილი ავიღეთ, ფინალური სერია 1:2 წავაგეთ „პრევიდზასთან".

**— თქვენ რამდენ ხანს გიწევდათ მოედანზე ყოფნა?**

— თამაშისას 37-38 წუთს მოედანზე ვიყავი. 1 აგვისტოდან 30 აპრილამდე 65 მატჩში მივიღე მონაწილეობა. ძალიან ბევრს მთხოვდნენ.

**— შესაბამისად თუ გიხდიდნენ?**

— რა თქმა უნდა. ბავშვი ხომ არა ვარ, მხო[illegible]დ ენთუზიაზმით ვითამაშო. ახალგაზრდობაში შემეძლო ასეთი რამის გაკეთება, მატერიალური მხარისთვის ყურადღების არმიქცევა. მერე და მერე კალათბურთი სამუშაოდ მექცა. სიყვარული სიყვარულად, მაგრამ ამ საქმით ოჯახს ვარჩენ. ადრე მეშინოდა იმის თქმა, პროფესიონალი რომ ვიყავი, ახლა — სხვა დროა. ერთს გეტყვით, რასაც მიხდიდნენ, იმის შესაბამისად ვთამაშობდი.

**— თქვენი გასამრჯელო სლოვაკ კალათბურთელზე მეტი იყო თუ ნაკლები?**

— სლოვაკებზე 10-ჯერ მეტს ვიღებდი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც გრანდიოზული კონტრაქტი მქონდა. უბრალოდ, იქაური კალათბურთელების ხელფასები არცთუ დიდია.

**— სლოვაკური კალათბურთის დონე როგორია?**

— ევროპული სტანდარტებით, მეტად საშუალო, შეიძლება გამოყო 3-4 გუნდი, რომელთა დონე აღნიშნულზე ცოტათი მეტია. იქაური კალათბურთიც, რუსები რომ იტყვიან, „დაარტყი, გაიქეცის" პრინციპს ეთაყვანება. ფლეი-ოფამდე ჩემპიონატის მატჩები არ შეიხედებოდა. შემდეგ პირველობას კარგი გუნდები შემორჩნენ და თამაშებიც საინტერესო გახდა.

ბარემ ჩვენი და იმათი კალათბურთი შევადაროთ. ჩემი შარშანდელი გუნდი „თბილისი", რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს, „პეზინოკის" დონისა და თუ არა, უარესი ნამდვილად არ იყო. იგივეს ვიტყვი „ვითასა" და „პრევიდზას" შედარებისას. უბრალოდ, იქ ორგანიზაციაა უკეთესი. მაგალითად, მე არ მქონდა მედიკამენტების პრობლემა. კლუბი ინტენსიურად გვამარაგებდა ათასგვარი წამლებით, ვიტამინებით, აღმდგენი საშუალებებით... თუმცა რა არის აქ საოცარი — ეს ხომ ასეც უნდა იყოს.

**— ლეგიონერები მრავლად არიან?**

— საკმარისად. 2-3 გუნდს ამერიკელები ჰყავს. ვერ ვიტყვი, რომ ბრწყინვალე, მაგრამ ამინდს ქმნიდნენ. არიან მოთამაშეები უკრაინიდან, ყაზახეთიდან. მათ უმრავლესობას ადრე არ ვიცნობდი, ისინი კი მიცნობდნენ. „პრევიდზას" ჰყავს სერბი ლეგიონერი, ბაბიჩი. სანამ მოედანზე შევხვდებოდი, ტვინი წამიღეს — აი, ბაბიჩი ისეთი ცენტრია, აი ამისთანა მოთამაშეაო...

**— ეგ რომელი ბაბიჩია, მილოში?**

— აქ რაღა იცით მის შესახებ?

**— იგი 1990-92 წლებში NBA-ში გამოდიოდა — „კლივლენდ კავალიერზში" და „მაიამი ჰითში" თამაშობდა.**

— რა ვიცი, ყურები კი გამომიჭედეს მისი ქებით, მაგრამ რამდენჯერაც შევხვდი — იმდენჯერ ვაჯობე. ის მე მიჭერდა, მე — მას. ბაბიჩი საშუალოდ 12 ქულას აკეთებდა, მე — 15-ს. უბრალოდ, „პრევიდზა" მეშახტეთა მდიდარი კლუბია. თორმეტივე კალათბურთელი კარგი ჰყავს. ჩვენ კი მთელი სეზონი ერთი ხუთეულით ვითამაშეთ. დანარჩენი კალათბურთელები ახალგაზრდები არიან და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. ამიტომაც წავაგეთ "პრევიდზასთან", თორემ რა ბაბიჩი, რის ბაბიჩი!

**— „პეზინოკთან" კონტრაქტი დაგიმთავრდათ?**

— დამიმთავრდა, მაგრამ ახალს მოვაწერე ხელი, ისევ ერთწლიანს, სხვა გზა არ მქონდა — ჯერჯერობით არავის მივუწვევივარ. მინდოდა რამე მომეძებნა, მაგრამ ორი კურდღლის მდევარს რა მოსდის, მოგეხსენებათ. „პეზინოკში" 1 აგვისტოს უნდა გამოვცხადდე. ოღონდ ერთი პირობით — ხელმძღვანელობას კონტრაქტის იმ პუნქტის შეცვლა მოვთხოვე, მატერიალურ მხარეს რომ შეეხება. ცხადია, ჩემს სასარგებლოდ. იმათ წუწუნი დაიწყეს — კონტრაქტზე ხომ უკვე მოგვიწერე ხელიო. მე კი გავუმეორე, თუ პირობებს არ შემიცვლით, კონტრაქტს თავზე გადაგახევთ-მეთქი.

**— მიუხედავად იმისა, რომ მოყვარული კალათბურთელისთვის ხელმისაწვდომი ყველა შეჯიბრების მედალი გაქვთ, მალე თქვენს სპორტულ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება — საქართველოს ნაკრებში გამოსვლა...**

— ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია ჩემთვის, რომ კომენტარის გაკეთება ზედმეტად მიმაჩნია. დღეს პირველად ვივარჯიშე და შევამჩნიე, რომ ნაკრების წევრებს ამ ერთ წელიწადში ბევრი მოუმატიათ. ახალგაზრდებიც წამოიზარდნენ და გაძლიერდნენ. ერთი ნახვით მომეწონა ლიპარტელიანის წვრთნის მეთოდები. როგორც მწვრთნელი, ბესიკი გაიზარდა. რამდენჯერმე ჩემთან მოვიდა და რაღაც[illegible]ები მკითხა. არ დაგიმალავთ, მესიამოვნა, როცა ჩემი რჩევები მიიღო. სხვა ამას არ იზამდა — ცხვირსაც აწევდა და ყურადღების ღირსადაც არ ჩაგთვლიდა.

**— ნაკრების მომავალ მეტოქეებზე თუ იცით რამე?**

— ვიცი, ოღონდ მეტ-ნაკლებად. შარშან „პეზინოკი" თასების თასზე ეთამაშა ლუქსემბურგის იმ კლუბს, რომელიც ნაკრების ბირთვია. გასვლაზე 20 ქულით მოვუგეთ, შინ — 12. მე ვერ ვითამაშე, [illegible] კლუბმა ლიცენზია დამიგვიანა. შეხვედრებს ვუყურე და ლუქსემბურგელების თამაშით არ აღვფრთოვანებულვარ.

სლოვაკეთში ვაგროვებდი ინფორმაციას დანარჩენებზეც. სპეციალისტთა აზრით, დანია სუსტია. უელსი — უარესი. ისიც მითხრეს, თუ თქვენებს კალათბურთი ოდნავ მაინც ესმით, მინიმუმ 15 ქულით უნდა მოიგოთო. თუმცა, სანამ მათ წინააღმდეგ მოედანზე არ გავალ, დარწმუნებული ვერაფერში ვიქნები. პოლონეთსა და ინგლისზე თავს შევიკავებ — ძლიერი გუნდებია.

**— ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს?**

— კარგი კი არა, საუკეთესო. ამნაირ ქვეჯგუფში სხვა დროს შეიძლება ვერც მოვხვდეთ.

მერაბ რატიშვილი



თურქეთში, ანთალიაში გამართული ბავშვთა სპორტული ფესტივალის 12-წლიანთა საკალათბურთო ტურნირის გამარჯვებული თბილისის „მართვე". სხედან: ვასიკო ყარყარაშვილი, ტატო ვაშაკიძე, ვასიკო მიქაძე, გიორგი გოცაძე, ლაშა მთვარაძე; დგანან: გიორგი ჩავლეიშვილი, ზაზა ფაჩულია, ბადრი ნათობაძე, გიორგი მარკოიშვილი, ლევან ჩაჩუა, მწვრთნელი ზურაბ სამხარაძე.



## საქართველოს პირველობა

### პირველი ჯგუფი

ოთხშაბათი, 10 მაისი

ქუთაისის რაგბის მოედანი

**აია-პეი 41 (30) — ყორჩები 0**

მსაჯი პ. ნარიმანაშვილი

4ლ: №11 გ. ჩუბინიძე (2), 2 ტურძელაძე, 13 ტყაბლაძე; 3გ: 10 ნ. ძაგნიძე; 4ს: ნ. ძაგანძე (2), 15 ე. ძაგნიძე (2); ა: ნ. ძაგნიძე

როგორც ოქმიდან ირკვევა, თამაშის დროსა და შემდეგაც თითო მეგობრული შეხლა-შემოხლა გამართულა

ქუთაისის „დინამოს სტადიონი"

**აიეტი 3 (3) — აზოტი 30 (10)**

მსაჯი გ. აბაშიძე

აიეტი — ს: 15 შვანგირაძე

აზოტი — 3ლ: 14 ლ. ბერიშვილი (2), 12 აფციაური; 3გ და 3ს: 15 ჯიმშელაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 2 | 2 | 0 | 0 | 68:20 | 7-2 | 4 |
| თბილისი | 2 | 1 | 1 | 0 | 58:20 | 8-1 | 3 |
| გუმარი | 2 | 1 | 1 | 0 | 36:29 | 2-1 | 3 |
| აზოტი | 2 | 1 | 0 | 1 | 50:30 | 5-3 | 2 |
| ყორჩები | 2 | 0 | 0 | 2 | 12:60 | 0-5 | 0 |
| აიეტი | 2 | 0 | 0 | 2 | 6:71 | 0-10 | 0 |

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. ძაგნიძე | აია | - | 5 | 4 | 1 | 25 |
| ჯიმშელაძე | აზოტი | - | 5 | 5 | - | 25 |
| გეგელაშვილი | თბილისი | 1 | 1 | 3 | - | 16 |
| მოდებაძე | გუმარი | - | 1 | 3 | 1 | 14 |
| ტეფნაძე | ყორჩები | - | - | 3 | 1 | 12 |
| მაჩიტიძე | გუმარი | - | - | 4 | - | 12 |

მელელოვეები: ლ. ბერიშვილი (აზოტი) 4; გ. ჩუბინიძე (აია-პეი) 3; კ. ალანია (თბილისი) და ბუგიანიშვილი (გუმარი) 2-2

დღეს, 16 მაისს, 5 საათზე, რუსთავის ქყონდიდლის დასახლებაში „გუმარს" სინს შეეცილება იქაური „აზოტი".

იჩქარეთ დიდი რაგბის დასაჭაშნიკებლად!

ხვალ, 17 მაისს ვაკეში ითამაშებენ „ყორჩები" და „თბილისი", ქუთაისში კი — „აია-პეი" და „აიეტი"

### მეორე ჯგუფი

11.V გელათი — დინამო 3 (0) (ს) : 7 (7) (ლ, გ)

12.V [illegible] — დელფინები 16 (6) (ლ, გ, 3ს) : 15 (8) (2ლ, გ, ს)

13.V ყორჩები II — უნივერსიტეტი 22 (10) (3ლ, 2გ, ს) : 22 (14) (3ლ, 2გ, ს). თამაშის ბოლოს უნივერსიტეტს მსაჯი მკაცრად დაუტუქსავს, მეტოქეს საჯარიმო ლელო რატომ ჩაუთვალე და ანგარიში გაათანაბრებინეო

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაში | 3 | 3 | 0 | 0 | 43:14 | 4-1 | 6 |
| ლელო | 2 | 2 | 0 | 0 | 39:25 | 4-3 | 4 |
| უნივერს. | 2 | 1 | 1 | 0 | 30:29 | 4-4 | 3 |
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 17:15 | 2-2 | 2 |
| დელფინ. | 3 | 1 | 0 | 2 | 33:39 | 4-4 | 2 |
| აკადემია | 3 | 1 | 0 | 2 | 32:42 | 5-6 | 2 |
| ყორჩები II | 3 | 0 | 1 | 2 | 51:70 | 7-10 | 1 |
| გელათი | 2 | 0 | 0 | 2 | 11:22 | 1-1 | 0 |

18.V: რაში — ყორჩები II, დელფინები — გელათი

19.V: უნივერსიტეტი — ლელო, დინამო — აკადემია



# მოუგებს ვინმე სტუ-ს?

11 მაისი

**სტუ — „მართვე" 38:15 (15:6)**

ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის [illegible] [illegible] ტსაიდერი[illegible] დაიწყო ამ შეხვედრაში დიდი ბრძოლა, ცხადია, არ ყოფილა. საინტ[illegible] [illegible] მხოლოდ, [illegible] ნი გოლ[illegible] [illegible] შეხვედრა ტექნიკური უნივერსიტეტის ლიდერების ალეკო ბოყოჩაძისა და ბექა ორჯონიკიძის დუეტი. წინა ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი მოთამაშის ბოყოჩაძის ანგარიშზეა 13 ბურთი, აქედან ოთხი პენალტით. ორჯონიკიძე ამჯერად „მხოლოდ" რვა გოლს დასჯერდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მატჩში შედგა „მართვეს" პერსპექტიული მეკარის, 14 წლის თევზაძის დებიუტი

**„მიმი" — „მამული" 34:28 (15:14)**

„მამული" მნიშვნელოვანი გააძლიერა ორწრეგამოტოვებული კახა ღლონტის დაბრუნებამ, სამაგიეროდ, არანაკლები ძალა დააკლდა მერაბ უშვერიძისა და მეკარე თამაზ ქოქოსაძის არყოფნით. თუმცა, მაინც მედგარი ბრძოლა გაუწიეს ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს. ღლონტთან (გაიტანა 7 გოლი), ერთად მშვენივრად ითამაშეს გუნდის კაპიტანმა ელიზბარ არსენაშვილმა (7) და მარჯვენა ფრთაზე ზაზა ჯიაძემ (6), მაგრამ მათი მონდომება საკ[illegible]რისი არ აღმოჩნდა მოსაგებად. მატ[illegible] გმირია მიმელი მიხო კრესელიძე, რ[illegible]ლმაც 18-ჯერ დალაშქრა „მამულის" [illegible] და მხოლოდ ერთი ბურთი დააკლდა [illegible] საკუ რეკორდის გასამეორებლად. დი[illegible]ლად ითამაშა მეკარე ირაკლი კენ[illegible] ვინც ოთხი პენალტიც აიღო.

**„ოქროს ვერძი"—„ამირანი" 30:29 (17:1[illegible])**

ეს იყო პირველი დღის ყველაზე და[illegible]ბული და საინტერესო შეხვედრა. „ამირ[illegible]ნის" ოთხმა ორმეტრიანმა მოთამაშემ დ[illegible]ცვაში ვერაფერი გააწყო ფოთელთა მკვ[illegible]რცხლი შემტევების წინააღმდეგ: ჩემპიო[illegible]ნატში ყველაზე შედეგიანმა ზვიად შათი[illegible]რიშვილმა 12 ბურთი გაუტანა დავით ბ[illegible]რიკაშვილს, ტექნიკურმა გიგლა თითბერ[illegible] ამ კი — 8.

12 მაისი

**„ამირანი" — „მართვე" 33:19 (15:6), „მამული" — „ოქროს ვერძი" 36:31 (16:11), სტუ — „მიმი" 33:27 (19:12)**

წრის ცენტრალური თამაში ვერ გამოვიდა თანაბარძალოვან ლიდერთა მ[illegible] პაექრობის სადარი. წინა ტურის შ[illegible]რისაგან განსხვავებით, რომელიც ბოლომდე დაძაბული იყო და [illegible]ბმა მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით მოიგეს, ამჯერად ყველაფერი პრაქტიკულად უკვე პირველი ტაიმის მიწურულს გადაწყდა. გაცილებით მრავალფეროვნად მოთამაშე მეტოქეს სამტრედიელებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რაშიც სტუ-ს მეკარეთა — გურამ სარალიძისა და როლანდ ერაძის დამსახურებაცაა.

13 მაისი

**„მიმი" — „მართვე" 29:19 (10:11)**

**სტუ — „ოქროს ვერძი" 28:27 (15:14)**

სამტრედიელთა სნაიპერმა კრესელიძემ სულ ოციოდე წუთი დაჰყო მოედანზე და მართალია, მხოლოდ ხუთი ბურთის გატანა მოასწრო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ 125 გოლით სათავეში ჩა[illegible]გომოდა ბომბარდირთა სიას, თუმცა, მცირე ხნით „ოქროს ვერძის" ლიდერ[illegible] შათირიშვილმა 16-ჯერ წარმატებით შეუტია სტუ-ს კარს და საბოლოოდ, ათით გაასწრო კრესელიძის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ ამდენი გოლი უცვლელი ჩემპიონის კარში აქამდე არავის გაეტანა.

**„მამული" — „ამირანი" 31:28 (16:15)**

ამ მატჩში წელს პირველად გამოჩნდ[illegible] მოედანზე ვეტერანი ამირანელი მერაბ როგავა. „მამულიც" გზადაგზა იკრებს ძალებს. ითამაშა ქოქოსაძემ, ვისზეც ამბობდნენ, ხელბურთს თავს ანებებსო. არადა ძალზე საწყენი იქნება, თუკი ეს მართლაც მოხდება. 26 წლის კაცისთვის რა დროს პენსიაში გასვლაა. ეს ამ მატჩმაც ცხადად დაგვანახა. მამულელთა კარის ორმეტრიანი დარაჯი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. თამაზმა ორი პენალტი და კიდევ ათამდე უიმედო ბურთი აუღო პირისპირ გასულ მეტოქეებს და მნიშვნელოვანწილად განაპირობა თავისიანების გამარჯვება. ჩინებულად ითამაშა დანარჩენმა ექვსმა მამულელმაც (გუნდმა მთელი მატჩი უცვლელი შემადგენლობით ჩაატარა) — არსენაშვილმა (7), ღლონტმა (5), გოჩა მალაქველიძემ (7), გიორგი ბარათაშვილმა (5), დავით მჭედლიშვილმა (4) და ჯიაძემ (3). „ამირანიდან" შედეგიანობით თავი გამოიჩინეს კობა თორდიამ (10) და ლევან გელაშვილმა (7), მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბია ახალაძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 17 | - | - | 533:390 | 34 |
| მიმი | 12 | 1 | 4 | 510:404 | 25 |
| მამული | 8 | 1 | 7 | 478:495 | 17 |
| ამირანი | 8 | - | 9 | 466:461 | 14 |
| ოქროს ვერძი | 2 | 1 | 10 | 366:417 | 5 |
| მართვე | - | 1 | 16 | 370:556 | 1 |



დენის ქონორი: სამგზის გამარჯვებული და ორგზის დამარცხებული

# მრავლად გაყიდეს წითელი წინდა

ახალი ზელანდია მეზღვაურებით ყოფილა სახელგანთქმული, მის უდიდეს ქალაქ ოქლენდს კი აფრათა ქალაქი რქმევია. ამის შემდეგ ალბათ უცნაურად აღარ უნდა მოგვეჩვენოს „ამერიკის თასით" ზელანდიელების გადარევა. ეს შეჯიბრება ოთხი თვე მიმდინარეობდა, ამ ხნის მანძილზე კი ოქლენდის სამეფო საიალქნო ესკადრილიის ეკიპაჟ „ბლექ მეჯიქს" (შავ ჯადოქრობას) თანამემამულეთა ქომაგობა არ მოკლებია — მთელს ზელანდიაში მრავლად დაედგათ უშველებელი ტელეეკრანები, რომელთა მეშვეობითაც ნებისმიერ გამვლელს შეეძლო თვალი მიედევნებინა სათაყვანო აფროსანთა ასპარეზობისთვის.

ზელანდიელებს ეს საპატიო თასი აქამდე ვერაფრით მოეგოთ — სერ მაიქლ ფეის სამჯერ დიდძალი ხარჯიც გაეღო და დიდებული იახტებიც აღეჭურვა, მაგრამ ამაოდ. ამჯერად ზელანდიელთა ახალი გალაშქრების თაოსანმა და გუნდ „თიმ ნიუ-ზილენდის" თავკაცმა პიტერ ბლეიქმა ორიგინალური ხერხი იხმარა — მთელი ქვეყნის მასშტაბით გაჩაღებინა წითელი წინდების ჩაცმის კამპანია, რამაც ამ ჭყეტელა საქონელზე მოთხოვნილება ერთობ გაზარდა. წითელი წინდების გაყიდვით ნახევარ მილიონზე მეტი დოლარი მოგროვდა. ეს თანხა მთლიანად მოხმარდა იახტისა და ეკიპაჟის მომზადებას და გარდა ამისა, ერიც ერთი მიზნის მისაღწევად დარაზმა: ხალხი წითელ წინდებს იცვამდა და ამით გამოხა[illegible] „ბლექ მეჯიქისადმი" მხარდაჭე[illegible]ს.

გუნდმაც იმედი გაუმართლა ქვეყანას: ოთხი თვის მანძილზე გამართული 43 გაცურვიდან 42-ში გაიმარჯვა, საკუთრივ თასისთვის შეჯიბრი კი მშრალზე, 5-0 მოუგო ამერიკელი დენის ქონორის გუნდს.

ამ შეჯიბრის ბოლო ორი რბოლა ხუთშაბათსა და შაბათს გაიმართა წლევანდელი შეჯიბრების ბინაზე, კალიფორნიის ქალაქ სან-დიეგოს აკვატორიუმში. თასის დამცველი ამერიკელები ამჯერადაც ვერ გაუმკლავდნენ მოცილე ზელანდიელებს — ჯერ 3 წუთითა და 37 წამით დამარცხდნენ, მერე კი — წუთითა და 50 წამით. ისევე როგორც წინა რბოლებში, მასპინძლები ოდენ სტარტზე ივაკაცებდნენ, მერე კი სულ უფრო მეტადა და მეტად ჩამორჩებოდნენ სტუმრებს.

ზელანდიელებმა ამბიცია დაიკმაყოფილეს. ისინი თავს უდიდეს რიცხვმცირე ნაოსან ერს უწოდებენ, ამერიკის თასისთვის აშშ-თან გაჯიბრება და ძლევა კი დავითისა და გოლიათის შერკინებად მიაჩნიათ. მეხუთე რბოლის მოგების შემდეგ მთელი ქვეყანა მხიარულებას მიეცა, პრემიერ-მინისტრმა ჯიმ ბოლჯერმა კი ყველა დაწესებულებას მოუწოდა, ამ გამარჯვების აღსანიშნავად თქვენს თანამშრომლებს უქმი დღე გამოუყავით. აბა, ხუმრობა ხომ არაა, ჩვენოდენმა პაწია ქვეყანამ ამერიკას რომ აჯობა როგორც ტექნოლოგიით, ასევე ორგანიზაციითა და თავგამოდებითო.

ახალი ზელანდია შეიქნა ამერიკის თასის მფლობელი მესამე ქვეყანა. 144 წლის განმავლობაში აშშ-ის გარდა თასი ერთხელ ეპყრა ავსტრალიასაც. ავსტრალიასთან და ახალ ზელანდიასთან ამჯერად აშშ-ს ვერ გაამარჯვებინა დენის ქონორმა, რომლის მონგარში, ამისდა მიუხედავად მაინც სამი გამარჯვებაა, რაც ამ შეუპოვარ, მაგრამ ჭირვეულ კაცს განსაკუთრებულ ადგილს დაუმკვიდრებს აფროსნობის ისტორიაში.

ახალმა ზელანდიამ ამერიკის თასი სამი წლის შემდეგ უნდა დაიცვას.

ვალერი ჯიქია

# თავიდან ბოლომდე «შუმი»

წინა ორი ეტაპის გამარჯვებული — უილიამსელი დეიმონ ჰილი ესპანეთის დიდი პრიზის წინ დიდ გულზე იყო იმის და მიუხედავად, რომ 4 მაისს, იმოლას ავტოდრომზე ვარჯიშისას კედელს შეეჯახა და მანქანა დალეწა, თუმცა თავად უვნებელი დარჩა. ჰილი კარიერაში პირველად ლიდერობდა ჩემპიონატს.

12 მაისს მონტმელოში წინასწარი კვალიფიკაცია ფერარის ტრიუმფით დასრულდა. ნაწვიმარ, მაგრამ ამშრალ ტრასაზე საუკეთესო დრო აღმოაჩნდა ამ გუნდის ფრანგ პილოტ ჟან ალეზის, მეორე შედეგი კი — მის ავსტრიელ თანაგუნდელ გერჰარდ ბერგერს. მესამეზე უილიამსით გავიდა 24 წლის შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი, რომელსაც ანგინა სჭირდა. ბენეტონელი მიხაელ შუმახერი მოსრიალდა და მეოთხე ადგილზე დარჩა. მერე მოდიოდნენ ჰილი, ფინელი მიკა ჰაკინენი (მაკლარენი), ინგლისელი ჯონი ჰერბერტი (ბენეტონი). ინდიკარიდან შარშანვე დაბრუნებულ ინგლისელ ნაიჯელ მენსელს (მაკლარენი) ვარჯიშის დასაწყისშივე მარცხი შეემთხვა და საბოლოოდ მე-12 ადგილზე დარჩა, თუმცაკი არ დაშავებულა.

13 მაისს ძალიან იყოჩაღეს ბენეტონელებმა. ისინი გერმანელი შუმახერის მანქანის სრულყოფაზე დღედაღამ მუშაობენ. პილოტმაც იჩქარა თავისიანთა ღვაწლის წარმოჩინება და თავიდანვე ისეთი სიჩქარე განავითარა, რომ მთელი ვარჯიში ვერავინ მიუახლოვდა. „შუმი" თავისსავე შედეგს თანდათან აუმჯობესებდა, რის შედეგადაც ნახევარ წამზე მეტი მოუგო მეორე ადგილზე დარჩენილ ალეზის. საკვირაოდ სტარტის მეორე მწკრივში დაიბევს ადგილები ბერგერმა და კულტჰარდმა, მესამეში — ჰილმა და ედი ერვაინმა (ჯორდანი), მეოთხეში — ჰერბერტმა და ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომ (ჯორდანი), მეხუთეში — ჰაკინენმა და მენსელმა.

კვირას, 14 მაისს შუმახერს მოწინავე პოზიცია არავისთვის დაუთმია. გამარჯვების შემდეგ მან ქებით მოიხსენია თავისი ბოლიდის სარბოლო თვისებები. მიხაელი პირად ჩათვლაში დაწინაურდა. გუნდურში ერთპიროვნულად გაიჭრა წინ ფერარი, ვისაც 4 ქულა შესძინა მესამე ადგილზე გასულმა ბერგერმა. იტალიური გუნდის დიდი იმედი — ფრანგი ალეზი, ვისაც ჯერ გრან-პრი ვერ მოუგია, კარგა ხანს მეორე მიდიოდა, მაგრამ საწვავის ჩასხმისას მანქანა აუფეთქდა. კულტჰარდი მესამე იყო, მაგრამ სიჩქარეთა კოლოფმა დაალალატა. ალეზის მერე შუმახერს ჰილი აეკიდა, მაგრამ ბოლო წრეზე მისი მანქანის რომელიღაც ნაწილში წნევის ბალანსი დაირღვა და დეიმონი საბოლოოდ მეოთხე ადგილზე დარჩა. მეორე ადგილი დაიკავა ბენეტონელმა ჰერბერტმა, ვისი საუკეთესო შედეგიც აქამდე მეოთხე ადგილი ყოფილა, თუმცაკი 30 წლის ლონდონელ მრბოლს 66 ეტაპზე უასპარეზია. მეხუთე ადგილი ერგო ხულიგან ერვაინს, მეექვსე — ოლივიე პანის (ლიჟიე). ბენეტონმა, როგორც ბრიტანელები იტყვიან, „ერთი-ორი" გააზხერხა და გუნდურ პირველობაში საგრძნობლად გამოიკეთა საქმე.



ჯონი ჰერბერტი და მიხაელ შუმახერი

ირაკლი ნინუა

| | | I | II | III | IV | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიხაელ შუმახერი | ბენეტონი | 10 | 4 | - | 10 | 24 |
| დეიმონ ჰილი | უილიამსი | - | 10 | 10 | 3 | 23 |
| ჟან ალეზი | ფერარი | 2 | 6 | 6 | - | 14 |
| გერჰარდ ბერგერი | ფერარი | 4 | 1 | 4 | 4 | 13 |
| დევიდ კულტჰარდი | უილიამსი | 6 | - | 3 | - | 9 |
| ჯონი ჰერბერტი | ბენეტონი | - | 3 | - | 6 | 9 |
| მიკა ჰაკინენი | მაკლარენი | 3 | - | 2 | - | 5 |
| ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | ზაუბერი | - | 2 | 1 | - | 3 |
| ედი ერვაინი | ჯორდანი | - | - | - | 2 | 2 |
| მარკ ბლანდელი | მაკლარენი | 1 | - | - | - | 1 |
| ოლივიე პანი | ლიჟიე | - | - | - | 1 | 1 |

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

კონსტრუქტორები: „ფერარი" — 27, „უილიამსი" — 26, „ბენეტონი" — 23, „მაკლარენი" — 6, „ზაუბერი" — 3, „ჯორდანი" — 2, „ლიჟიე" — 1

„ბენეტონს" დაქვითული აქვს 10 ქულა, „უილიამსს" — 6

# რომინგერი წინ გაიჭრა

შაბათს, 13 მაისს, 78-ედ დაიწყო იტალიის ველოტური, რომელსაც მასპინძელი ქვეყნის ენაზე „ჯირო" ჰქვია. ტურში წელს 200-ზე მეტი მრბოლი ასპარეზობს, მარშრუტი კი შვეიცარიაზე და საფრანგეთზეც გადის. ფინიში 4 ივნისს მილანშია დაგეგმილი, ჯამური გზის სიგრძე კი 3 806 კილომეტრია.

მუხლის ტრავმის გამო წლევანდელ შეჯიბრში არ მონაწილეობს იტალიელი მარკო პანტანი. ესპანელმა სუპერმრბოლმა მიგელ ინდურაინმაც თავი აარიდა ასპარეზობას. სამაგიეროდ, მონაწილეთა შორის არიან შარშანდელი გამარჯვებული, რუსი ევგენი ბერზინი და საფრანგეთის ტურის ვიცე-გამარჯვებული, ლატვიელი პეტრ უგრუმოვი. ამის შესახებ წლევანდელი ჯიროს ფავორიტს, შვეიცარიელ ტონი რომინგერს უთქვამს, საწყისი ორი კვირა მშვიდად ირბოლებს, ბოლოში კი თავს გაიგიჟებსო.



პირველ ეტაპზე გამარჯვებული მარიო ჩიპოლინი

რომინგერს ისიც შეუნიშნავს, წელს მართლაც უძლიერესი ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვიფხიზლოო. მისთვის კვერი დაუკრავს იტალიელ კლაუდიო კიაპუჩის, რომინგერი ნამდვილად გაიმარჯვებს, სხვები კი მეორე ადგილს შევეცილებით ერთმანეთსო.

კიაპუჩის პროგნოზი გამართლდა. პირველი, 205-კილომეტრიანი ეტაპი (პერუჯა-ტერნი) კი მოიგო იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ, მაგრამ მეორეს შემდეგ, 19-კილომეტრიანი ჩქაროსნული ეტაპი (ფოლინიო-ასიზი) რომ იყო, შვეიცარიელი უკვე 47 წამით დაწინაურდა. მეორე ადგილზე იტალიელი მაურიციო ფონდრიესტია, ვინც 6 წამს უგებს მესამე ადგილზე მყოფ დანიელ რალფ სორენსენს. შემდეგ მოდიან ფრანჩესკო კაზაგრანდე (იტალია), ბერზინი და ჩიპოლინი. იმ 19 კილომეტრის გავლისას რომინგერს 43 წამი მოუგია სორენსენისა და ფონდრიესტისთვის.

მიხო ნინუა

## ჩოგბურთი

წინა კვირაში (8-14 მაისი)

ჰამბურგში, გერმანიის ღია პირველობის მეოთხედფინალში ანდრე აგასიმ (აშშ, 1) წააგო სერხი ბრუგერასთან (ესპანეთი) 3:6, 1:6. იმავე ეტაპზე: სამპრასი (აშშ, 2) — ფერერა (სამხრეთი აფრიკა) 6:2, 6:2; მედვედევმა (უკრაინა, 12) დაამარცხა გაუდენცი (იტალია), ივანიშევიჩმა (ხორვატია, 4) — როსე (შვეიცარია) 2-0. ნახევარფინალი: მედვედევი — სამპრასი 6:4, 2:6, 6:4; ივანიშევიჩი — ბრუგერა 6:4, 3:6, 7:6. ფინალი: მედვედევი — ივანიშევიჩი 6:3, 6:2, 6:1 (78 წუთში). უკრაინელმა ტიტული შეინარჩუნა. ივანიშევიჩმა თავი იმართლა, მაყურებელი შემეცოდა, ცივ ქარში რომ იჯდა, და ამიტომ მალე წავაგეო. დამარცხებული აგასი მაყურებელს ეჩხუბა, მერვედფინალში ფერერამ ბოლო ორ კვირაში მეორედ დაამარცხა შტიხი (გერმანია), ბეკერმა ტრავმა მოიმიზეზა და ამ კვირაში აღარ იასპარეზებს იტალიის ღია პირველობაზე.

პაინ-ჰერსტში ამერიკის სათიხნარო პირველობის ნახევარფინალში ხავიერ ფრანამ (არგენტინა, მსოფლიოს მე-60 ჩოგანმა) დაამარცხა მაგნუს ლარსონი (შვედეთი, 1), თომას ენკვისტმა (შვედეთი) კი — დევიდ ვითონი (აშშ). ფინალი: ენკვისტი — ფრანა 6:3, 3:6, 6:3. ფრანას შარშან სიყვითლე მოუხდია, რის გამოც ბევრი გასცდენია.

ქალთა იტალიის ღია პირველობა. მეოთხედფინალი: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — მერიჯო ფერნანდესი (აშშ) 6:4, 6:3; მარი პირსი (საფრანგეთი, ვაილდ ქარდი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:4, 2:6, 7:6; არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 1) — შონ სტაფორდი (აშშ) 6:1, 6:3; სუკოვამ (ჩეხეთი) დაამარცხა კრუგერი (სამხრ. აფრიკა). ნახევარფინალი: სანჩესი — სუკოვა 6:3, 6:0; მარტინესმა დაამარცხა პირსი. ფინალი: მარტინესი — სანჩესი 6:3, 6:1. მარტინესმა ზედიზედ მესამედ მოიგო იტალიის პირველობა. წელს მას წვრთნის ბრაზილიელი კარლოს კირმაიერი. მისი ხელმძღვანელობით კონჩიტამ ოთხი ტურნირი და 46 ხელიდან 42 მოიგო.

## NBA. ფლეი-ოფი

მეორე წრე (4 მოგებამდე)

აღმოსავლეთი

ორლანდო — ჩიკაგო 2:2 (94:91, 94:104, 110:101, 95:106)

ინდიანა — ნიუ-იორკი 3:1 (107:105, 77:96, 97:95, 98:84)

დასავლეთი

სან-ანტონიო — ლეიკერზი 3:1 (110:94, 97:90, 85:92, 80:71)

ფინიქსი — ჰიუსტონი 3:1 (130:108, 118:94, 85:118, 114:110)

სეზონის საუკეთესო ხუთეული:

| | |
|---|---|
| ჯონ სტოქტონი | იუტა |
| ანფერნი ჰარდევეი | ორლანდო |
| სკოტი პიპენი | ჩიკაგო |
| კარლ მელოუნი | იუტა |
| დევიდ რობინსონი | სან-ანტონიო |

## ხელბურთი

ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი, ისლანდია

A ჯგუფი: 12 მაისი. შვეიცარია — უნგრეთი 30:23, კორეა — ისლანდია 26:23, ტუნისი — აშშ 24:17; 13 მაისი. შვეიცარია — ისლანდია 24:21, ტუნისი უნგრეთი 25:24, კორეა — აშშ 30:20

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 5 | 0 | 0 | 133:103 | 10 |
| კორეა | 4 | 0 | 1 | 140:112 | 8 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 119:107 | 6 |
| ტუნისი | 2 | 0 | 3 | 110:125 | 4 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 4 | 119:121 | 2 |
| აშშ | 0 | 0 | 5 | 82:135 | 0 |

B ჯგუფი. 11 მაისი. კუბა — სლოვენია 34:26, ჩეხეთი — ხორვატია 27:25, რუსეთი — მაროკო 20:15; 12 მაისი. ჩეხეთი — სლოვენია 23:22, ხორვატია — რუსეთი 25:20, კუბა — მაროკო 32:25; 14 მაისი. სლოვენია — მაროკო 37:16, ხორვატია — კუბა 31:27, რუსეთი — ჩეხეთი 22:17

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 4 | 0 | 1 | 140:119 | 8 |
| რუსეთი | 4 | 0 | 1 | 112: 96 | 8 |
| ჩეხეთი | 4 | 0 | 1 | 121:111 | 8 |
| კუბა | 2 | 0 | 3 | 136:132 | 4 |
| სლოვენია | 1 | 0 | 4 | 131:126 | 2 |
| მაროკო | 0 | 0 | 5 | 93:149 | 0 |

C ჯგუფი. 11 მაისი. ალჟირი — იაპონია 20:18, გერმანია — დანია 24:18, რუმინეთი — საფრანგეთი 23:22; 13 მაისი. რუმინეთი — იაპონია 31:22, საფრანგეთი — დანია 22:21, გერმანია — ალჟირი 24:15; 14 მაისი. დანია — იაპონია 35:22, გერმანია — საფრანგეთი 23:22, რუმინეთი — ალჟირი 24:22

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 0 | 0 | 128:93 | 10 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 2 | 121:121 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 122:108 | 6 |
| ალჟირი | 2 | 0 | 3 | 103:113 | 4 |
| დანია | 2 | 0 | 3 | 126:117 | 4 |
| იაპონია | 0 | 0 | 5 | 101:149 | 0 |

D ჯგუფი. 11 მაისი. ბელარუსი — ბრაზილია 34:21, შვედეთი — ქუვეითი 37:22, ესპანეთი — ეგვიპტე 27:20; 12 მაისი. ბელარუსი — ქუვეითი 39:18, შვედეთი — ეგვიპტე 33:22, ესპანეთი — ბრაზილია 21:13; 14 მაისი. შვედეთი — ესპანეთი 23:21, ეგვიპტე — ბელარუსი 27:26, ქუვეითი — ბრაზილია 24:21

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 0 | 0 | 151:114 | 10 |
| ესპანეთი | 4 | 0 | 1 | 123:104 | 8 |
| ეგვიპტე | 3 | 0 | 2 | 129:127 | 6 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 3 | 154:125 | 4 |
| ქუვეითი | 1 | 0 | 4 | 106:149 | 2 |
| ბრაზილია | 0 | 0 | 5 | 96:140 | 0 |

თანაბარქულიან გუნდებში უპირატესობა ერთმანეთთან მატჩში მოგებულს ეძლევა.

მერვედფინალში, დღეს თამაშობენ: შვეიცარია — კუბა, ხორვატია — ტუნისი, კორეა — ჩეხეთი, რუსეთი — ისლანდია, შვედეთი — ალჟირი, გერმანია — ბელარუსი, ესპანეთი — საფრანგეთი, რუმინეთი — ეგვიპტე

## აქეთური, იქითური

შაბათს საკრამენტოში (კალიფორნია) კრივის მსოფლიოს საბჭოს ვერსიით ერთბაშად ორმა მძიმეწონოსანმა ექს-ჩემპიონმა გალახა თავისი მეტოქე. ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა, ვინაც თავის დროზე მაქქოლთან წააგო, მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი ლაიონელ ბატლერი, [illegible] წაგებულმა მაიკლ მორერმა კი ქულებით აჯობა ამერიკელსავე [illegible] ფოსტერს. ბრიტანელმა ფრენკ ბრუნომ, [illegible] ,,უემბლიზე" მაქქოლს უნდა შეებას საბჭოს ჩემპიონობისათვის. შაბათსავე, გლაზგოში, მეორე რაუნდში დაანოკაუტა ამერიკელი მაიკ ევანსი, ლას-ვეგასში 6 მაისს ნაცემი კოლუმბიელი ჯიმი გარსია კი უფრო ცუდად შექნილა და როგორც ექიმები ვარაუდობენ, ვერ გადარჩება.

*

პაკისტანის კერპმა, 42 წლის ექს-მოკრიკეტე იმრან ხანმა, ვინაც ამ ქვეყანას 1992 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა, წინა კვირაში გამოაცხადა, რომ ცოლად მოყავს ინგლისელი ფინანსისტის, სერ ჯეიმზ გოლდსმითის 21 წლის ქალიშვილი, სახელად ჯემაიმა. ამ ამბავს ქვეყანაში ყველა მოწონებით როდი შეხვდა, მაგრამ იმრანის დამ — ნორისმა ხალხი ანუგეშა, სარძლო მაჰმადის რჯულზე მოიქცევაო. ამასობაში ისიც გარკვეულა, რომ საგაისო მსოფლიო თასი, 14 თებერვლიდან 17 მარტამდე ინდოეთში, პაკისტანსა და შრი-ლანკაზე რომ უნდა გაიმართოს, ემთხვევა ინდოეთის საყოველთაო არჩევნებს. არადა, ორივე ამ ღონისძიებისთვის უშიშროების ძალების დარაზმვა ყოფილა საჭირო, რასაც რელიგიური კონფლიქტებით მოცული ინდოეთი ძნელად რომ გასწვდება.

*

ჩინეთში კვირას დასრულებულ პინგ-პონგის მსოფლიო პირველობაზე შვიდივე კატეგორიაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. წინა ჯერზე ამგვარი შედეგისათვის ჩინელებს 1981 წელს მიუღწევიათ.

*

ბრიტანეთის ბალახის ჰოკეის ქალთა ასოციაციას ასი წელი შეუსრულდა. საიუბილეო მატჩი შაბათს გაიმართა შეფილდში. ინგლისელებმა ვერ მოუგეს გერმანელ ქალებს 1:1. ამ 60 წლის წინ იმავე გუნდების პირველ მატჩში, ბერლინში რომ გაიმართა, სტუმრებმა 6:4 გაიმარჯვეს.

*

,,ვიგანი" და ,,ლიდსი" გავიდნენ ბრიტანეთის რაგბის ლიგის პირველობის ფინალში რომელიც ამ კვირას მანჩესტერის ,,ოლდ ტრეფორდზე" გაიმართება. ,,ვიგანმა" ამ სეზონში უკვე მოიპოვა სამი ჯილდო: ,,რეგალის თასი", ჩემპიონატი და თასი, ახლა კი თუ პირველობასაც მოიგებს, იშვიათ ,,ქლინ სვიფს" გააზხერხებს.

*

გაისიდან გოლფის ევროპული ტური, რომელშიც უკვე მალაიზიის, თაილანდისა და საამიროების ტურნირები, ავსტრალიასაც გადაწვდება — ამ ქვეყნის დასავლეთი შტატის დედაქალაქ პერთში ,,ჰაინეკენ კლასიკი" გაიმართება.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29